# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 ივლისი 2005 №163 (2486) ფასი 50 თეთრი



**მენტალიტეტი ჟირესმაც გვიხსენა**

3



**დილა აუქციონზე! 300 000 ერთი...**

3



**ზორბას ჰაპოელი ჩაეჭიდა, ის კი რუსეთისკენ მიიწევს**

12

# დინამომ ძელზე გაიარა



ლევან მელქაძის ამ თავურს „დინამოს" პირველი გოლი მოჰყვა

ენა ვის მოუტრიალდება, თქვას, გაძვრაო, მაგრამ, სწორედაც რომ გამძრომი ანგარიშით მოუგო თბილისის „დინამომ" ესტონეთის ჩემპიონ „ლევადიას". იყო ლევან მელქაძის მართლაც რომ იღბლიან დროს გატანილი თავური, რომელსაც სერგი ორბელაძის თავურივე მოჰყვა, მაგრამ იყო ტრადიციული ნერვების წყვეტაც: ბოლო წუთებზე ძელს მოხვედრილი ბურთი და მთელი სტადიონის ამოძახილი — გადავრჩით!

„ლევადია" დაგეგმილი ეტაპი იყო, რომელიც „დინამოს" უნდა გაევლო. ახლა კი, ჩემპიონთა ლიგის სამეორეეტაპოდ, დანიურ „ბრონდბიუსთან" დუელში ფავორიტობას ალბათ თბილისელების მეტოქე დაიჩემებს.

# კანადური კედელი ჩინელებისთვის



მე-13 გვერდი

# ჩემპიონთა ლიგა 2005–2006
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# დინამოს ლევადია ლელოდ დაუჯდა





[illegible] ფოლადაშვილის ფოტოები

დინამოელთა სიხარულში არცთუ პატარა წილი მიხეილ ბობოხიძემაც დადო

თბილისი. 19 ივლისი. 19 საათი. ეროვნული. 10 000 მაყურებელი

**დინამო 2:0 ლევადია (0:1)**

1:0 მელქაძე (45), 2:0 ორბელაძე (50)

მწვრთნელი კახა ცხადაძე

12 სტურუა

6 ალადაშვილი 2 ქემოკლიძე 24 ორბელაძე 3 ქანდელაკი

28 ოდიკაძე 9 ნოზაძე 8 ბაბუნაშვილი 16 ჭელიძე

18 მელქაძე 11 ბობოხიძე

11 ზელინსკი

9 დმიტრიევი 6 ვასილიევი 10 კაზიმირი

8 ნაჰკი 20 დოვიდენასი

2 კალიმულინი 3 ჩეპაუსკისი 22 ხოხლოვ-სიმსონი 7 შიშოვი

1 კოტენკო

მწვრთნელი ტარმო რუუტლი

შეცვლა: ზელინსკი – 5. ლეიტანი (46), დმიტრიევი – 16. შადრინი (59), დოვიდენასი – 19. პურიე (64), ჭელიძე – 4. გიგაური (67), ბაბუნაშვილი – 20. მახარაძე (73), ბობოხიძე – 26. აკობია (80)

გაფრთხილება: ზელინსკი (28), ქემოკლიძე (38), ალადაშვილი (75, 76)

გაძევება: ალადაშვილი (76)

მსაჯები: ალოიზი სუპრაჰა; დარკო შლივარი, პრედრაგ ბოროვეცი; ჟელკო შირიჩი (ყველა ხორვატია)

უეფას დელეგატი: ჟან-ფრანსუა კრუკი (ბელგია)

უეფას ინსპექტორი: სუეილ დაოდი (ისრაელი)

დავით თავართქილაძე

**ფეხბურთში** ისეთი ხალხიც ტრიალებს, ფეხბურთზე კამათი დიდად რომ არ ეხერხებათ და არ უყვართ. არიან ისეთებიც, გაძევებულ ფეხბურთელს ტაშს რომ უკრავენ. მოკლედ, ფეხბურთი ძალიან ფართო სპექტრია, აგერ, ტალინის „ლევადიამ" გუშინ ძალიან გვანერვიულა და ახლანდელი „დინამოც", ასე თუ ისე, დაგვანახა.

ტალინში „დინამომ" 0:1 წააგო და თბილისურ მატჩს ძალიან გლუვი ანგარიშით იწყებდა. თქმა არ უნდა, ასეთ დროს პირველი გოლის ფაქტორი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და „დინამოც" საამისოდ გაიქაჩა. ჩინებულად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე გიორგი ჭელიძე, შემდეგ ლევან მელქაძეს გადააწოდა ბურთი, მის ჩაწოდებულს საპირისპირო ფლანგზე დავით ოდიკაძე დახვდა, კარგად გაისწორა ბურთი მარჯვენა ფეხზე, მაგრამ არტურ კოტენკომ კუთხურზე მოიგერია ის. „დინამომ" ამ მომენტს კუთხურების ჯერი მიაყოლა, ბურთი თითქმის სულ შორეული ძელისკენ იგზავნებოდა, მაგრამ პირველ ტაიმში ამას ხეირი არ მოჰქონდა.

საიმედოდ, ლიბეროსავით ირჯებოდა „ლევადიას" მეკარე არტურ კოტენკო, რომელმაც გამოსვლაზე რამდენჯერმე ერთობ ეფექტურად ითამაშა.

საიმედოს ვერ ვუწოდებთ „დინამოს" დაცვას. რევაზ ქემოკლიძე სეზონისწინა მზადებისას მოგვიანებით შეუერთდა „დინამოს" და გუშინ ეტყობოდა, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჯერაც ვერაა.

ტალინური მატჩის შემდეგ კახა ცხადაძემ სამი შეცვლა გააკეთა — დავით გიგაურის ნაცვლად ქემოკლიძე ათამაშა, გიორგი ნავალოვსკის მაგივრად გიორგი ჭელიძე, ხოლო გია მეგრელაძეს მიხეილ ბობოხიძე ამჯობინა. ბობოხიძე გუშინ ძალიან შრომისუნარიანი გახლდათ, ყველა ბურთზე იბრძოდა, აქტიურობდა, კარგად იხსნებოდა, „ლევადიას" დაცვას სიქას აცლიდა, თუმც საგოლე მომენტების რეალიზაციაში ვერ გამოირჩა.

ტაიმის შუაწელიდან „დინამოს" თამაშში წუნმა იმატა, მიყოლებით ორი-სამი გადაცემის გაკეთება ჭირდა, ინდივიდუალური თამაშიც არ გამოსდიოდათ დინამოელებს, რამაც ალბათ უფრო დაძაბა ისინი. პირველ ტაიმში გატანილ გოლს სასიცოცხლო მნიშვნელობა მიეცა „დინამოსთვის", რადგან ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მეორე ტაიმში უფრო დაიძაბებოდნენ. მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე ფლანგური რეიდი კახა ალადაშვილმა იკისრა, კარგადაც ჩააბზრიალა ბურთი მეტოქის საჯარიმოში და ლევან მელქაძემაც ვარდნაში ახლო თავურით გაუტანა კოტენკოს.

შესვენების შემდეგ სტრესმოხსნილი „დინამო" უფრო ლაღად ათამაშდა და ჭელიძემაც ერთ-ერთი იერიშისას კუთხური მოინაგრა. ჭელიძემ ისევ შორეულ ძელთან ჩააწოდა ბურთი და დამუშავებულმა ხერხმაც ნაყოფი გამოიღო — სერგი ორბელაძემაც თავურით დაამწუხრა „ლევადია".

თამაში გაიხსნა, „ლევადიამაც" გამოყო კუს ფეხი, მაგრამ შეზღუდული უნარი და ოსტატობა ბევრის საშუალებას არ აძლევდა. „დინამოს" კონტრშეტევებზე თამაშის შანსი მიეცა, ოდიკაძის, ალადაშვილის და ბობოხიძის სისწრაფის წყალობით რამდენიმე მწვავე იერიშიც განახორციელა. ბობოხიძემ სულაც ლამის „ლევადიას" მთელი დაცვა მოატყუა, მაგრამ საგოლედ ვერ დაარტყა, შემდეგ კიდევ ერთი საგოლე შანსი გაუცუდდა, ესტონელები კი მცდელობის მიუხედავად შეტევაში ღირებულს ვერაფერს ქმნიდნენ.

ამასობაში ოდიკაძემ მეორე გაფრთხილება მიიღო და გაძევეს — ჩვენი დიდებული ტრადიციის მიხედვით ის ქომაგმა მოედნიდან ტაშით გააცილა, ხოლო მინდორზე დარჩენილთათვის კი სიტუაცია გაშლევდა — „ლევადიას" ნიჭიერი მოემატა და კარგადაც გვანერვიულა. ესტონელებმა ერთადერთი საგოლე მომენტიც ამ მონაკვეთში შექმნეს — ვიტოლდას ჩეპაუსკასის თავური ძელმა აისხლიტა. გოლის გატანა „დინამოსაც" მართებდა, როცა ლევან აკობია კოტენკოსთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

და მთავარი: „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლელო გაიტანა.

## პრესკონფერენცია

***ტარმო რუუტლი:*** დაძაბული თამაში გამოვიდა და სასიამოვნო იყო, რომ ის ორმხრივი შეტევებით წარიმართა. მიუხედავად მარცხისა, ჩემი ფეხბურთელების მიმართ ძალიან კრიტიკული ვერ ვიქნები.

***კახა ცხადაძე:*** უზომოდ გახარებული ვარ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მეორე ტაიმში სტრესი მოგვეხსნა და დიდი ანგარიშით მოგებაც. შევძელით, მაგრამ ასპროცენტიანი საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ოდიკაძემ ნერვები გამოუცდელობის გამო ვერ მოთოკა, მაგრამ მეგობრებმა მას ტვირთი გამარჯვებით შეუმსუბუქეს. დიდი მადლობა ჩემს ფეხბურთელებს. რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, „ბრონდბიუსთან" ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ ფეხბურთელებს დანიელებთან ტოლ-სწორად თამაში შეუძლიათ. ახალ გუნდს დანგრეულზე ვაშენებთ და ამ თამაშმა დაგვანახა, რომ სწორი გზით მივდივართ.

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა

II ტური

ტიროლი 0:3 რაპიდი

### დანია

სუპერლიგა

I ტური

ესბიერგი 2:2 ოდენსე

### ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

ბოჰემიანსი : სენტ პატრიკსი გადაიდო

### ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
#### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*კაუნასი (ლიტვა)* 4:0 HB ტორსჰავნი (ფარერები) (4:2)

ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:3 *ლივერპული (ინგლისი)* (0:3)

### ამხანაგური მატჩები

ბრანი (ნორვეგია) 4:0 ბირმინგემი (ინგლისი)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:2 ანდერლეხტი (ბელგია)

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

### საუკეთესო



***ლევან მელქაძე***

*თუ ალენ ჟირესის ლოგიკას დავეყრდნობით, მატჩის შედეგს უფრო ფეხბურთელები განაპირობებენ, ვიდრე მწვრთნელი. ჟირესი ლევან მელქაძეს ნაკრებში არ იწვევს, მაგრამ გუშინ მელქაძემ სასიცოცხლო მნიშვნელობის გოლიც შეაგდო და ძნელბედობის, კაცნაკლულობის დროსაც ერთ-ორად გამოირჩა.*

# 30-40% მენტალიტეტი შირესმაც გვიხსენა



ბადრი კამილაძის ფოტო

*საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი თბილისშია. ჩვენს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ ჟირესის და ნაკრების თემა, ცხადია, კიდევ უფრო გააქტუალურდა, თუმც სანაკრებო ფრონტი ჯერაც უცვლელია — მიმდინარე შესარჩევ ციკლს გუნდს ჟირესი ჩაამთავრებინებს. მაგრამ რა იქნება შემდეგ?*

*მუსიე ჟირესს გუშინ ფედერაციის ოფისში შევხვდით და აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ*

**— უკვე შეხვდით ფედერაციის ახალ პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს? ალბათ ბევრი რამ შეიცვლება ნაკრებთან მიმართებაში...**

— ახალკაცთან ჩვეულებრივი შეხვედრა მქონდა და არა რაღაც განსაკუთრებული.

**— მაგრამ ახალკაცმა თქვენ იმაზე ადრე გთხოვათ თბილისში ჩამოსვლა, ვიდრე ამას გეგმავდით...**

— ახლა საქართველოს ჩემპიონატის მატჩები არ იმართება, ხოლო ევროსარბიელზე თბილისის „დინამოს" თამაშის ყურებას ესტონური „ლევადიას" შემდეგ ვაპირებდი, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან.

**— ანუ მიგაჩნიათ, რომ „დინამო" უკვე გასულია მეორე ეტაპზე?**

— „დინამოს" მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას ვუსურვებ და ვფიქრობ, ყველაფერი ასეც მოხდება.

**— შეიცვლება თუ არა პოლიტიკა ნაკრებში — ამაზე თუ ისაუბრეთ ფედერაციის პრეზიდენტთან? თუ გაქვთ მისგან დროის კრედიტი და არის იმის პერსპექტივა, რომ ნაკრებს მომავალ შესარჩევ ციკლშიც თქვენ უხელმძღვანელებთ?**

— მე და ფედერაციის პრეზიდენტმა ამ საკითხზე მართლაც ვისაუბრეთ — რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი დავკარგეთ, მიმდინარე შესარჩევი ციკლი მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის უნდა გამოვიყენოთ — ასეთ შეთანხმებამდე მივედით.

**— და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე არ გისაუბრიათ?**

— არა, მხოლოდ საქართველოს ნაკრების მომავალზე ვილაპარაკეთ.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკრების უახლოეს მატჩებში გუნდის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება?**

— რა თქმა უნდა, ეს თავისთავად ასე მოხდება, ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს გამოვცდი, თუმც ვის, როდის და სად, ამას ახლა ვერ გეტყვით, ცვლილებები ნელ-ნელა გამოჩნდება.

**— ნაკრების ბოლო მატჩზეც ვთქვათ — ალბანეთში ცარიელი ტრიბუნების თვალწინ ითამაშა საქართველოს ნაკრებმა და ყველაფერი კარგად ისმოდა — ფეხბურთელები ერთმანეთს არ კარნახობდნენ, მათში ემოციური მუხტი თითქმის არ იყო, ხოლო ზოგიერთმა ფეხბურთელმა სულაც უარი თქვა იმ მატჩში მონაწილეობაზე...**

— ცარიელი ტრიბუნების წინაშე ფეხბურთელები მაგრად ვერასდროს ითამაშებენ, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ბრძოლისუნარიანობა ჩვენს ფეხბურთელებს მართლაც აშკარად აკლდათ. თამაშის წინ რომ მცოდნოდა, რომ ასე მოხდებოდა, ბევრს რამეს შევცვლიდი და სულ სხვა სურათი იქნებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, მწვრთნელმა დაახლოებით მაინც ვერ უნდა განჭვრიტოს, რა ვითარება იქნება თამაშის დროს?**

— აქ ხომ ლაპარაკი არაა ფეხბურთელის მზადყოფნაზე, მის ფიზიკურ კონდიციებზე — პრობლემა მოთამაშეების ტვინში, მათ მენტალიტეტშია.

**— მწვრთნელის როლზე აქ არაა ლაპარაკი?**

— რაფაელ ბენიტესმა რომელიმე ქართულ კლუბში ერთი წელი რომ იმუშაოს, ევროსარბიელზე ვერაფერს მოიგებს, მწვრთნელს დრო სჭირდება. გუნდის მოგებას თუ წაგებას კი მეტწილად ფეხბურთელები განაპირობებენ.

**— როცა 1984 წელს ევროპის ჩემპიონი გახდით, მაშინაც ასე ფიქრობდით?**

— მიშელ იდალგო ბედნიერი იყო, რომ მიშელ პლატინი და სხვა დიდებული ფეხბურთელები ჰყავდა და ჩვენც ბედნიერები ვიყავით, რომ მწვრთნელად იდალგო გვყავდა.

**— მაშინ ასე ვთქვათ — პროცენტულად ვინ როგორ განაპირობებს გუნდის შედეგს?**

— შედეგში მწვრთნელის ხვედრი 30 პროცენტია, მაქსიმუმ 40. რაც უნდა კარგი ფეხბურთელები გყავდეს, მათ დირიჟორი აუცილებლად სჭირდებათ და თუ დირიჟორს ორკესტრში კარგი მევიოლინე და პიანისტი ჰყავს, ამას რა სჯობს?!

**— და ბოლოს, ახლახან გერმანიაში გამართულმა კონფედერაციათა თასის გათამაშებამ რაიმე სიახლე თუ დაგანახათ?**

— ძალიან მაღალი დონის თამაშები იყო, განსაკუთრებულად მომეწონა ფინალი, ბრაზილია — არგენტინა დიდი ტექნიკური ოსტატობით გამორჩეული მატჩი იყო თანამედროვე ფეხბურთისთვის კარგი ტენდენციაა, რომ ამ ტურნირზე ტექნიკურმა ფეხბურთმა გაიმარჯვა. რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, მისი ზედმიწევნით ძალისმიერი სტილი არ მომწონს.

**დავით თავართქილაძე**

## ნუ ანერვიულებთ ჟირესს

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ ბარგი ამსტერდამში დარჩა, რის გამოც ძალიან შეშფოთდა. ჟირესს იმ ჩანთებში, ავიაკომპანიას რომ ჩაჰბარა და თბილისში არ ჩამოუვიდა, მნიშვნელოვანი საბუთები და ნაკრების მოსამზადებელი გეგმები ჰქონდა. საბედნიეროდ, პრობლემა მალე მოგვარდა და ალენ ჟირესმაც თავისი ბარგი გუშინ გამთენიისას ხელუხლებელი მიიღო, თუმც იმდენი ინერვიულა...

**კობა ინასარიძე**

# დილა აუქციონზე! 300 000 ერთი...



ბადრი კამილაძის ფოტო



*გორის „დილა" აუქციონზე იყიდება, საწყისი ფასი 300 ათასი ლარი - ეს ცნობა გუშინ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა დაგვიდასტურა და იქვე დასძინა, რომ კლუბის შესყიდვის მსურველები უკვე საკმაოდ არიან და აუქციონიც უახლოეს დღეებში, ჩემპიონატის დაწყებამდე მოეწყობა. ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც, გორის „დილა" თავის, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონიანად გაიყიდება*

**მოგეხსენებათ,** ამ სეზონში შიდა ქართლს უმაღლეს ლიგაში ორი გუნდი — „ცხინვალი" და „დილა" ეყოლება, ერთიც, თამარაშენის „ლიახვი" კი პირველ ლიგაში ითამაშებს. ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ რეგიონს ერთბაშად სამი გუნდის შენახვა არ შეუძლია და ვინაიდან პოლიტიკური მოსაზრებების გამო რეგიონის ხელმძღვანელობა აქცენტს „ცხინვალსა" და „ლიახვზე" აკეთებს, „დილას" გაყიდვაც ამიტომ გადაწყდა.

შევიტყვეთ ისიც, რომ რეგიონის ხელმძღვანელობა „ცხინვალს" მხოლოდ გარკვეული პერიოდით დააფინანსებს, მერე კი ეს გუნდიც გაიყიდება.

უკვე გადაწყვეტილია, უმაღლესი ლიგის მატჩებს „ცხინვალიც" და „დილაც" სწორედ „თენგიზ ბურჯანაძეზე" გამართავენ. „დილას" მყიდველისთვის მოთხოვნა ისიც არის, რომ სტადიონით „ცხინვალიც" ისარგებლის. ხოლო „ლიახვი" შინ, თამარაშენში ითამაშებს და ყოველი მატჩის დღეს ამ სოფლის პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით ჯარი განლაგდება.

„დილას" შეძენას ამას წინათ გიორგი ნემსაძე რომ აპირებდა, ეს ამბავი გეხსომებათ. მაშინ რეგიონის ხელმძღვანელებმა და ნემსაძემ ვერ მოილაპარაკეს და ახლა, როცა გუნდის აუქციონზე გაყიდვა გადაწყდა, სწორედ გიორგის დავუკავშირდით, მან კი მოკლედ გვიპასუხა, რომ აუქციონში მონაწილეობას არ მიიღებს.

მოკლედ, „დილა" დღე-დღეზე გაიყიდება და ეგებ ამოისუნთქოს კიდეც.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატში ლეგიონერების დაბრუნება იშვიათი ხილია, თბილისის „ამერმა“ კი სწორედ ამ ხილს მიაგნო და ფინეთის კტპ-დან მეკარე გიორგი ნიკურაძე გადაიყვანა. გიორგი ივნისში უნდა შეერთებოდა გიორგი ჩიხრაძის გუნდს, თუმც, წინასწარი შეთანხმებით, ფინეთის ჩემპიონატის პირველი წრე ჩაამთავრა და გუშინ ჩამოვიდა თბილისში.

25 წლის ნიკურაძეს სკანდინავიაში წასვლამდე რამდენიმე ქართულ კლუბშიც უთამაშია, ერთი წლის წინ კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი — მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი უდარაჯა კარს. „ამერის“ ახალწვეული კმაყოფილია, ამბიციურ და აწყობილ გუნდში მოვდივარ, ძალიან მაინტერესებს, რამდენად შეიცვალა საქარველოს ჩემპიონატიო


[illegible] ფოტო

# როცა ფულს ნოსტალგია სწონის

## გიორგი ნიკურაძე: ამერი ალალბედზე არ ამირჩევია

— „ამერი“ ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში შემეხმიანა, მაშინვე ინტერნეტში დავიწყე ამ კლუბზე ინფორმაციის მოგროვება, გავიკითხე „ამერის“ ამბები და ყველამ მირჩია აქ ჩამოსვლა. გუნდს მშვენიერი სტადიონი და ბაზა აქვს. კი ვიცი, რომ საქართველოს ჩემპიონატი ვერ დგას მაღალ დონეზე, მაგრამ ფინეთში გაჩერება აღარ შემეძლო.

**— რატომ, კლუბში აგერია საქმე თუ საქართველო მოგენატრა?**

— სამშობლო მომენატრა, ჩემი სახლი, მშობლები, ნათესავები, მეგობრები... ოთხი წელი ვიყავი ფინეთში, ძალიან გამიძნელდა. თანაც, დავოჯახდი და მაინც მარტოობა მიწევდა. ფინეთში კარგი პირობები იყო, მაგრამ ის ტიპი არ ვარ, ცხოვრებაში ფულის იქით რომ არ იყურება.

**— „ამერის“ რომელ ფეხბურთელებს იცნობ?**

— გიორგი დეკანოსიძეს, რევაზ ნაჭყეპიას, მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს. შარშან ფინეთში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ამერელებიც იყვნენ ჩამოსულები. ერთი ვიცი, კარგ გუნდში მოვედი — წესით, მაღალი ადგილებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, „ამერზე“ ბევრი კარგი მსმენია, დაუფიქრებლად ჯერ ნაბიჯი არასოდეს გადამიდგამს.

**— საქართველოს ჩემპიონატშიც გითამაშია და ფინეთისას როგორ შეადარებ?**

— ფინეთისა უფრო ძლიერია. იქ დაფინანსება და სწორი მენეჯმენტი აქვთ კლუბებს, სპონსორებიც უფრო დაინტერესებულები არიან.

**— კტპ ფინეთის საშუალო დონის გუნდია. შენ ძირითადი მეკარე კი იყავი, მაგრამ ხშირად არ თამაშობდი...**

— იცით, იქ ყველა ღონეს ხმარობენ, რომ თავიანთი ფეხბურთელი დააწინაურონ. ლეგიონერებს ისე რა უყურებენ. ძალიან მაგარიც რომ იყო, თან არ გადაგყვებიან. ისე, ტრავმების გამო ლამის წელიწადნახევარი გამიცდა, მყესი გამიწყდა, შარშან კი მენისკის ოპერაცია დამჭირდა.

**— „აიაქსიდან“ წასვლის შემდეგ იარი ლიტმანენი ფინეთის ჩემპიონატშიც თამაშობდა. მას არ შეხვედრიხარ?**

— არა. ლიტმანენი „ლაჰტიში“ ცოტა ხანს იყო, მერე ტრავმა მიიღო. ისე, ფინეთში იგი სასწაულად უყვართ.

**— ტურის სიმბოლურ ნაკრებში ხშირად ხვდებოდი?**

— არც ისე. თუმცა იქ ასეთი წესია, თითოეულ მატჩში კტპ-ს საუკეთესო ფეხბურთელს ვარსკვლავებით აჯილდოებდნენ და ყველაზე ბევრი ვარსკვლავი მე მომიგროვდა.

**— როგორც ვიცით, კტპ-ში შენი ბოლო მატჩის შემდეგ ბანკეტი უნდა გადაეხადათ...**

— კი, თუმცა არცთუ ტკბილად მომიწია მწვრთნელთან დაშორებამ. წარმოიდგინეთ, წლეულს ყველა მატჩში ძირითადში ვიყავი, მაგრამ მწვრთნელმა იცოდა, რომ გუნდიდან მივდიოდი და მინდორზე არ გამიყვანა, სათადარიგო სკამზე კი ჯიბრზე არ დავჯექი. თამაშს ტელევიზიაც გადასცემდა, სტადიონზე კი დიქტორმა გამოაცხადა, გიორგი ნიკურაძის ბოლო თამაშია კტპ-შიო და ხალხმაც ტაში დასცხო. გამომშვიდობებისას მითხრეს, იმედია, ფინეთში კვლავაც დაბრუნდებიო, მაგრამ რაღაც მეეჭვება...

**— ფინელებზე ამბობენ, ალკოჰოლი ძალიან უყვართო.**

— ლუდი უყვართ ძალიან. რომც მოვინდომო, მაგათ რას შევეედრები?!

**— ფინეთში ჰოკეი ფეხბურთზე პოპულარულია და უყურადღებობას ხომ არ განიცდიდი?**

— ჰოკეის უფრო აქცევენ ყურადღებას, თუმცა ჩვენს ქალაქში, კოტკაში, ფეხბურთი უფრო უყვართ. საერთოდაც, კტპ-ს ფინეთში ყველაზე კარგი ფანობა ჰყავს.

**— „ამერში“ შენი გადმოსვლა ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივამაც ხომ არ განაპირობა?**

— რა ვიცი, ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. ისე, იმედი კი მაქვს...

**ილია ნანოგაშვილი**

# ანჩელოტის მესიჯი: კალაძე მილანის მომავალია


[illegible] ფოტო

**ჩემპიონთა ლიგის** ფინალისტი „მილანი“ 14 ივლისს შეიკრიბა მილანელოს ბაზაზე, ხვალ კი ამერიკულ ტურნეზე გაემგზავრება. „როსონერის“ ფეხბურთელებმა და მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმაც უკვე დაარიგეს პატარ-პატარა ინტერვიუები, სადაც კახა კალაძეც მოიხსენიება.

კერძოდ, ანჩელოტიმ თქვა, ძალიან გამიხარდა, რომ ქართველი მცველი ჩვენთან დარჩა, კალაძე „მილანის“ მომავალია და მთლიანად მასზეა დამოკიდებული, რამდენად ხშირად მოხვდება ძირითად შემადგენლობაშიო. სინიორ კარლო ტრანსფერებით კმაყოფილია, გასულმა სეზონმა დაგვანახვა, რომ გაძლიერება გვჭირდებოდა და ახლა უკვე მშვიდად ვარო.

კალაძეს კი მაინც გაუჭირდება „მილანის“ მთავარ თერთმეტეულში მოხვედრა, რადგან „უდინეზედან“ გადმოყვანილი ჩეხი მარეკ იანკულოვსკი ტრავმისგან თითქმის სრულად განიკურნა და შესაძლოა, სეზონისწინა მატჩებშიც ითამაშოს. თუმც თავად იანკულოვსკიმ თქვა, მილანელებს მაინცდამაინც მარცხენა მცველად არ ვუყიდივარ, ნახევარდაცვაშიც შემიძლია თამაში და სად დამაყენებენ, ეს ანჩელოტის გადასაწყვეტიაო.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ტორპედო

## დავით გამეზარდაშვილი რუსეთ-ბალტიისპირეთისკენ ეშურება


[illegible] ფოტო

**ქუთაისის** „ტორპედო“ დაობლებული ბავშვივითაა, გუნდშიც ბავშვებიღა დარჩნენ და მეტი არაა ჩემი მტერი, იმერლები ბატესთან ბელარუსში რაიმე მოტივაციით ჩავიდნენ. ჯერ თბილისურმა მატჩმაც დაგვანახვა, რა საცოდავ დღეშია საქართველოს ვიცე-ჩემპიონი. სტუმრებმა იმდენი საგოლე მომენტი გაანიავეს, „ტორპედოს“ 0:1 წაგებაც კი ზღაპარი იყო.

აბა, ვის ენდომება ისეთ გუნდში გაჩერება, რომელსაც პრეზიდენტი ტოვებს და პატრონობაზე ქალაქის მერიის გარდა არავინ ფიქრობს? „ტორპედოს“ კაპიტანი დავით გამეზარდაშვილიც წასვლას ეშურება. მისნაირ ფეხბურთელს ახალი კლუბის მოძიება არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ დათო ყველაფრის აწონ-დაწონვას აპირებს.

„დღე-დღეზე ველოდები ზარს, უცხოურ კლუბებზეა ლაპარაკი, კერძოდ, რუსეთიდან და ბალტიისპირეთიდან. მოსკოვის „ლოკომოტივი“? დიახ, ეს ვარიანტიც გეგმაშია, მაგრამ ამ დღეებში კონკრეტულად მათგან არ ველოდები წინადადებას. თბილისის „დინამოდან“ კი არავინ დამკავშირებია და რა გითხრათ“ — გამეზარდაშვილის ტრანსფერზე მისი მეგობრები მუშაობენ, რომლებსაც რუსეთ-ბალტიისპირეთში კავშირები აქვთ, მის საქმეში მენეჯერი არაა ჩართული.

გეხსომებათ, დათომ ბატესთან კოჭმტკივანმა ითამაშა. მის ადგილას ბევრი მოერიდებოდა მინდორზე გასვლას, მაგრამ „ტორპედოს“ ისედაც შესუსტებულ შემადგენლობას მისი გამოკლებაღა უნდოდა?! ჰოდა, გამეზარდაშვილმა თამაშის წინ ოთხი ნემსი გაიკეთა, გარისკა და ითამაშა, მაგრამ ტრავმა გაურთულდა.

„ერთი კვირა ვერ ვივარჯიშებ და მეეჭვება, ბატესთან სტუმრად ვითამაშო. შესაძლოა, ტრავმამ ტრანსფერში ხელი შემიშალოს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ორ კვირაში მაინც მწყობრში ვიქნები“ — თქვა დათომ.

გამეზარდაშვილს „ტორპედოში“ შექმნილ სიტუაციაზე ვკითხეთ, მაგრამ სასიამოვნო ვერაფერი გვითხრა — ბიჭები ვარჯიშობენ, თითქმის სულ ბავშვებიღა არიან, კაკალაძე, რაქვიაშვილი, ბაქრაძე და კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი კი წავიდა. დათოს თქმით, ოთარ გაბელია ჯერ არ ჩასულა ქუთაისში, თუმცა კი ელოდებიან.

საპასუხო საუეფასთასო თამაშის შანსებზე კი „ტორპედოს“ ლიდერისთვის არაფერი გვიკითხავს, არც თბილისში დანიშნულ პენალტებს და ზოგადად, მსაჯობას შევეხებივართ. რამე აზრი აქვს? ვინმეს სჯერა, რომ დაქუცმაცებული და ლამის ბაგა-ბაღად ქცეული „ტორპედო“ ბორისოვში გაიბრძოლებს?..

**ილია ნანოგაშვილი**

# ალეკო ამისულაშვილი: დინამოდან დინამოში

**კიევის** „დინამოდან“ წამოსული ალეკო ამისულაშვილი თბილისის „დინამოში“ ბრუნდება. ეს ამბავი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუმც, როგორც შევიტყვეთ, ამ ტრანსფერის მოგვარებას ბევრიც არაფერი უკლია. ალეკო უკვე რამდენიმე დღეა, თბილისშია და რამდენჯერმე დიღმის ბაზაზეც ივარჯიშა. „დინამო“ „ლევადიასთან“ საპასუხო მატჩს ელოდა და იქამდე ახალ ტრანსფერებზე არაფერი თქმულა. გუშინ კი „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, რომ კლუბი თუ ახალ ფეხბურთელებს დაიმატებს, ხვალ-ზეგ გაირკვევაო.

ალეკო ამისულაშვილთან ერთად „დინამოს“ შესაძლოა 21 წლის ნახევარმცველი კოტე დარსანიაც შეემატოს, რომელიც ბოლოს ბულგარულ „ჩერნო მორეში“ თამაშობდა, „დინამოს“ კი „ლევადიასთან“ ტალინურ მატჩამდე მიაკითხა და გუნდთან ერთად რამდენჯერმე ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ ალეკო ამისულაშვილი კიევის „დინამოში“ შარშანწინ გადაბარგდა, თუმც ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერაფრით მოიკიდა. მერე კიეველებმა ის დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გაანათხოვრეს, ახლა კი...

და კიდევ: თბილისის „დინამომ“ ამისულაშვილსა და დარსანიას კონტრაქტები თუ გაუფორმა, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განაცხადში მათი შეყვანის უფლებაც ექნება. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი „დინამოს“ მეტოქე დანიური „ბრონდბიუა“.

**კობა ინასარიძე**

# შევჩენკო ანჩელოტის ეჩხუბა

## ჯილარდინომ მადლობა ბერლუსკონის უთხრას

**იტალიური „მილანის“ ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ალბერტო ჯილარდინოს ყიდვით კლუბმა სატრანსფერო ფანჯარა დახურა და ახლა მთლიანად წინასასეზონო მომზადებაზე გადაერთო. „როსონერი“ ხვალ ამერიკაში გაემგზავრება, სადაც რამდენიმე შეკრებას გამართავს. ამ ტურნეზე გუნდს ხუთი ფეხბურთელი დააკლდება — დიდა, კაკა, შევჩენკო, იანკულოვსკი და ინძაგი**

**„სან სიროს“** ბინადრებმა თავიანთ ბრაზილიელ ლეგიონერებს კონფედერაციათა თასის შემდეგ დასვენების საშუალება მისცეს. იანკულოვსკისა და ინძაგის ძველი ტრავმები ბოლომდე არ მოუშუშებიათ, ხოლო ანდრეი შევჩენკომ სახეზე მეორე ოპერაცია გაიკეთა. თებერვალში, „კალიარისთან“ მატჩში სერიოზულად დაშავებულმა უკრაინელმა მეტალის დამცავი „თეფშები“ მოიშორა, რომლებიც მას მაშინ ჩაუსვეს. სხვათაშორის, მის ამ გადაწყვეტილებას უხმაუროდ არ ჩაუვლია...

საქმე ისაა, რომ ამ ოპერაციის გაკეთება აუცილებელი და საჩქარო არ ყოფილა. უკრაინელმა გადაწყვეტილება მოულოდნელად მიიღო, რაც გუნდის თავკაცს კარლო ანჩელოტის არ ესიამოვნა. ორშაბათის ვარჯიშისას მათ საკმაოდ ხანგრძლივი შელაპარაკებაც მოუვიდათ. მართალია, კამათი ბოლოს ხელის ჩამორთმევით და შერიგებით დასრულდა, მაგრამ ჭორების ასაგორებლად მაინც საკმარისი იყო.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები უკვე ალაპარაკდნენ, კრისტიან ვიერისა და ალბერტო ჯილარდინოს მოსვლის შემდეგ, ანდრეი შევჩენკო სერიოზულად ფიქრობს წასვლაზეო. თუ „მილანი“ უკრაინელის გასხვისებას გადაწყვეტს, ლონდონური „ჩელსი“ საჭირო თანხას სიამოვნებით გაიღებსო. ცხადია, ეს ჭორები ძალიან არარეალურად ჩანს, მაგრამ დანარჩენს დრო გვიჩვენებს.





კარლო ანჩელოტი ანდრეი შევჩენკოს თურმე ოპერაციის გაკეთებას უკრძალავდა

ახლა კი „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის მოვუსმინოთ: „ჩემი აზრით, სატრანსფერო ბაზარზე მშვენიერად ვიმუშავეთ. „იუვენტუსს“ ბრწყინვალე ნახევარდაცვა ჰყავს, სამაგიეროდ, ჩვენ თავდასხმაში ვართ ძლიერები. ჯილარდინო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, მან ეს უკვე დაამტკიცა, ახლა მთავარია, უფრო მალე [illegible] ერთხელ თქვას [illegible]“.

ამის შემდეგ გალიანიმ ხანგრძლივი მოლაპარაკებების მსვლელობა და ზოგიერთი დეტალი გაიხსენა. როგორც ირკვევა, ჯილარდინოს შესაძენად საკუთარი ჯიბე გვარიანად შეუფერთხავს „მილანის“ მფლობელ სილვიო ბერლუსკონისაც.

„ყველაფერს ნათელი ორშაბათს მოეფინა, როდესაც „პარმამ“ საბოლოოდ მიიღო ჩვენი წინადადება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორვარდს სხვაგან მოვძებნიდით თუმცა როგორც გვსურდა ჯილარდინოს შეძენა, კარგად მოგეხსენებათ. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად ალბერტომაც. მან საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ სარგებელზე თქვა უარი და დიდი ენთუზიაზმით ცდილობდა „მილანში“ გადმოსვლას. ასევე დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ სილვიო ბერლუსკონის, რომელმაც თანხა დაგვიმატა“ — აღნიშნა გალიანიმ.

ბოლოს კი ერთს დავამატებთ — ალბერტო ჯილარდინომ გუშინ სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა და როგორც მიმომხილველები ამბობენ, „მილანში“ მისთვის 11-ნომრიანი მაისური უკვე გამზადებულია. 11 ნომრით კი ალბათ გეახსოვრებათ, გასულ სეზონში „ჩელსისგან“ ნათხოვარი არგენტინელი ერნან კრესპო თამაშობდა.

**გიორგი კაკაბაძე**






კრისტიანო ძანეტისა და ჯანლუკა ძამბროტას „ინტერი“ და „იუვენტუსი“ ერთმანეთში არ გაცვლიან

# რა ძამბროტა, რის ძანეტი

## ჩინოვნიკებმა ჟურნალისტები აიგდეს

**„იუვენტუსის“** გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი კვირის დასაწყისში მილანში იმყოფებოდა, სადაც „ინტერის“ მფლობელ მასიმო მორატის შეხვდა. ამბობენ, მათ ფეხბურთელების შესაძლო გაცვლაზე და ზოგადად ტრანსფერებზე ისაუბრესო, თუმც მხარეები ამას უარყოფენ.

მასიმო მორატი: „ჩვენ მეგობრები ვართ და იგი უბრალოდ, სასაუბროდ ჩამოვიდა ჩემთან. არანაირ ტრანსფერებზე არ გვილაპარაკია“.

იტალიურ პრესა კი იუწყება, „ბებერი ქალბატონი“ ისევ კრისტიანო ძანეტის უტრიალებსო. ჭორების თანახმად, მილანური კლუბი მზად არის, ფეხბურთელი დათმოს და ფულიც დაამატოს თუ სანაცვლოდ ჯანლუკა ძამბროტას მიიღებს.

„ძამბროტასა და ძანეტის გაცვლა? ეს ცუდი ფანტაზიის მქონე ჟურნალისტების მოგონილი სასაცილო ჭორია“ — განაცხადა „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამ.

ამასობაში, ტურინელები საბოლოოდ შეუთანხმდნენ სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ სტეფან აპიას ტრანსფერზე. თურქები განელში 5,7 მილიონ გირვანქას იხდიან და ახლა თავად ნახევარმცველთან აგვარებენ დეტალებს.

სავარაუდოდ, მალე „დელე ალპის“ დატოვებს ფაბრიციო მიკოლიც. „ფიორენტინადან“ დაბრუნებული თავდამსხმელი ეგებ „პალერმოს“ ათხოვონ ან მიჰყიდონ.

ვრცელდებოდა ჭორები მანუელე ბლაზის შესაძლო წასვლის შესახებაც, მაგრამ მისმა აგენტმა დავიდე ლიპიმ ეს ვარიანტი გამორიცხა: „ახალი არაფერია. ჩემი აზრით ბლაზი გუნდში დარჩება. „იუვენტუსს“ მისი გასხვისების სურვილი არ გამოუთქვამს“.

ახლა კი ალესანდრო დელ პიეროზეც ვთქვათ. ტურინელთა მე-10 ნომერი გუნდის გაძლიერებით გახარებულია და მიაჩნია, რომ მომავალ სეზონში ფაბიო კაპელოსთან პრობლემები აღარ ექნება.

„ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა და ეს უნდა მოვახერხოთ. ასევე მსურს, მარჩელო ლიპი დავარწმუნო, რომ 2006 წლის მუნდიალზე თამაშს ვიმსახურებ. რაც შეეხება კაპელოსთან ჩემს ურთიერთობას, ვფიქრობ, იგივე პრობლემები აღარ გვექნება. ახლა ერთმანეთს ბევრად უკეთ ვიცნობთ. გუნდში თავდამსხმელების რაოდენობა გაიზარდა და სასიხარულოა, რომ ფართო არჩევანის საშუალება გვაქვს. არა მგონია, ეს რაიმე ბარიერს ქმნიდეს. შეგვიძლია, სამი შემტევითაც ვითამაშოთ“ — განაცხადა დელ პიერომ.

ტურინელთა კაპიტანმა პატრიკ ვიეირაზეც გააკეთა კომენტარი: „მართლაც საგრძნობლად გავძლიერდით, განსაკუთრებით პატრიკ ვიეირას მოსვლით. იგი ჩინებული ფეხბურთელია. როდესაც იცი, რომ გუნდში სერიოზული კონკურენცია და ფართო არჩევანის საშუალებაა, უფრო ძლიერდები. მომავალ სეზონში ნამდვილად ყველაფრის მოგება შეგვიძლია“.

**გიორგი კაკაბაძე**

# პირესს გალა ექაჩება

## არსენალი ოუენს უმიზნებს

**ფრანგი** ნახევარმცველი რობერ პირესი კვლავ ახალი კლუბის ძიებაშია. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ იგი „ჰაიბერიზე“ აღარ დარჩება. თავად 32 წლის ფეხბურთელს პატრიკ ვიეირას დარად „იუვენტუსში“ გადასვლა უნდა, მაგრამ ამ საქმიდან ჯერ არაფერი გამოდის.

პირესის შეძენის სურვილს ყველაზე მეტად თურქული „გალათასარაი“ გამოთქვამს, თუმც სტამბოლში გადაბარგება თავად ფეხბურთელს არ სურს. მიუხედავად ამისა, „გალას“ პრეზიდენტი ოზჰან ჯანაიდინი იმედს არ კარგავს.

„ყველაფერი არც ისეა, როგორც პრესაში იწერება, ვერ ვიტყვი, თითქოს პირესი უკვე ჩვენი ფეხბურთელია, მაგრამ 50 პროცენტი არის იმის შანსი, რომ [illegible] ამჟამად იგი სამ შემოთავაზებას განიხილავს და ჩვენ ამ სიაში ბოლო ადგილზე ვართ. ვფიქრობ, კვირის ბოლომდე ბევრი რამ გაირკვევა“ — თქვა ჯანაიდინმა.

ამასობაში, „არსენალი“ ნახევარმცველს ეძებს. ედუსა და ვიეირას წასვლით, „მეთოფეთა“ ცენტრი აშკარად შესუსტდა და გაძლიერება სჭირდება. ამჟამად ლონდონელებმა ოუენ ჰარგრივზს დაადგეს თვალი — „ბაიერნის“ ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ „მიდლსბროს“ უთხრა უარი, თუმც მას პრემიერლიგაში გადასვლის სურვილი აქვს და შესაძლოა, „ჰაიბერიზე“ მოხვედრის პერსპექტივამ მოხიბლოს კიდეც.

**გიორგი კაკაბაძე**



რობერ პირესი შესაძლოა, „გალათასარაიში“ გადავიდეს

# ლოტიტომ ტარე დაიბევა
## ლაციოს ტყუპები ეყოლება


იგლი ტარე

**რომის** „ლაციომ“ იგლი ტარე თითქმის გადაიბირა. დედაქალაქელები ალბანელს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ და ახლა „ბოლონიას“ უნდა მოელაპარაკონ.

„ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო მესაუბრა და ყველაფერზე რამდენიმე წუთში შევთანხმდით. მან გუნდის გეგმები გამაცნო. „სტადიო ოლიმპიკოზე“ სიამოვნებით გადავალ. თანაც რომი საოცარი ქალაქია. ახლა „ბოლონიას“ უნდა დავუცადოთ. იქ საშინელი ქაოსია. კლუბმა ჯერ კიდევ არ იცის, მომავალ სეზონში რომელ დივიზიონში ითამაშებს“ — განაცხადა 32 წლის ფორვარდმა.

გასულ სეზონში ტარეს კრიტიკოსები არ აკლდნენ — სათანადო რაოდენობის გოლებს ვერ იტანს და ცუდად თამაშობსო... ამაზე ალბანელის კომენტარი ასეთი გახლავთ: „ჩემი შედეგიანობა გუნდის სათამაშო სტილზეა დამოკიდებული. ბევრი გოლის გასატანად ფლანგზე სწრაფი გარემარბები მჭირდება“.

პარალელურად, დედაქალაქელები სხვა შენაძენებზეც ფიქრობენ. „ლაციომ“ „პარმას“ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს, ხორხე ბოლანოსა და სებასტიანო სივილიას დაადგა თვალი.

„რომაელებს განსაკურებით ბოლანო აინტერესებთ. იგი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და მისი გაყიდვა არ გვინდა, თუმც თუ სათანადო წინადადებას მივიღებთ, ალბათ მოგვიწევს. მზად ვართ, სივილიაც გავასხვისოთ. ახლა მთავარია, რას შემოგვთავაზებს „ლაციო“ — განაცხადა „პარმას“ სპორტულმა დირექტორმა ორესტე ჩინკვინიმ.

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ „ოლიმპიკოზე“ დარჩებიან ემანუელე და ანტონიო ფილიპინები, რომლებმაც გასული სეზონი მშვენივრად ჩაატარეს. მოგეხსენებათ, ტყუპები „ლაციოს“ „პალერმოსგან“ ჰყავს ნათხოვარი და ახლა საცაა, გამოისყიდის.

„ძალიან მცირე სხვაობაა ჩვენს მიერ მოთხოვნილ და „ლაციოს“ შემოთავაზებულ თანხაში. შეთანხმებასთან ახლოს ვართ და ვფიქრობ, ყველაფერი მალე მოგვარდება“ — განმარტა სიცილიელთა სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

*პრემიერლიგის ყველაზე მაღალი ფორვარდი პიტერ კრუჩი „საუთჰემპტონიდან“ „ლივერპულში“ გადავიდა. გუშინ მან სამედიცინო შემოწმება გაიარა, დღეს კი კონტრაქტს გააფორმებს. ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდს ტრანსფერი დაახლოებით 7 მილიონი გირვანქა დაუჯდება.*

*პიტერ კრუჩის „ლივერპულში“ ჩასვლა, სავარაუდოდ, მილან ბაროშის წასვლას გამოიწვევს, რომელსაც წინა სეზონში რაფაელ ბენიტესთან მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა.*

# ლივერპული კრუჩით გამაღლდა
## ენფილდიდან სიდნეისაც ხედავენ


პიტერ კრუჩი

**„ტოტენჰემის“**, „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ და „პორტსმუთის“ ყოფილი ფორვარდი 2001-2004 წლებში „ასტონ ვილაში“ თამაშობდა. შარშან ზაფხულს იგი „საუთჰემპტონმა“ შეიძინა და აყლაყუდა თავდამსხმელმაც 27 მატჩში 16 გოლი მიითვალა. გასული მაისის ბოლოს კი სვენ-გორან ერიკსონმა ნაკრებში მიიწვია და კოლუმბიასთან მისი დებიუტიც შედგა.

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა: „კრუჩის გაყიდვა არ მსურდა, მაგრამ კლუბის პატრონმა ასე გადაწყვიტა. 7 მილიონი გირვანქა ჩვენისთანა გუნდისთვის არც ისე მცირე თანხაა, რომ უარი გვეთქვა“.

ამსობაში, ბრიტანული პრესა იუწყება, რომ „ლივერპულმა“ შესაძლოა, სიდნეი გოვუც დაიმატოს. როგორც იცით, ცოტა ხნის წინ რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, კიდევ რამდენიმე ახალი მოთამაშე, მათ შორის ერთი თავდამსხმელი გვჭირდებაო. ეს ფორვარდი კი გამორიცხული არ არის, სწორედ „ლიონის“ 25 წლის ფეხბურთელი აღმოჩნდეს. თანაც ესპანელი სპეციალისტი მას ჯერ კიდევ „ვალენსიაში“ ყოფნისას უტრიალებდა.

გუნდის გამოცვლა თავად გოვუსაც სურს და „ლიონიც“ მზადაა, იგი გაასხვისოს. საფრანგეთის ჩემპიონთა პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა მასში 12 მილიონ ევროს ითხოვს, მაგრამ ოფიციალური წინადადებით მისთვის ჯერ არავის მიუმართავს.

„სწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, ტრანსფერი იმიტომ არ გამოდის, რომ „ლიონი“ ბევრ ფულს ითხოვსო. გოვუში 12 მილიონს ვითხოვთ, მაგრამ ჯერ წინადადება 7 მილიონზეც კი არ მიგვიღია“ — აღნიშნა ოლამ.

აქვე დავამატოთ, რომ ფრანგულ „მეცს“ მერსისაიდელთა ახალგაზრდა მცველის კარლ მედიანის თხოვება უნდა. 20 წლის ფეხბურთელმა გასული სეზონი „ლიონში“ გაატარა და მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვა.

სავარაუდოდ, „ენფილდის“ ბინადრები „მეცის“ წინადადებას დაჰყაბულდებიან, რადგან ბენიტესს სურს, ფეხბურთელმა გამოცდილება მიიღოს.


ჟულიო ბაპტისტა

# ბაპტისტამ ლონდონს სევილია დაუხურა

**„არსენალი“** და „ტოტენჰემი“ ამაოდ დაშვრნენ — ჟულიო ბაპტისტამ გუშინ განაცხადა, „სევილიადან“ არსად მივდივარ, კიდევ ერთი წელი ესპანეთში ვრჩებიო.

მოგეხსენებათ, პატრიკ ვიეირას გაყიდვის შემდეგ, „არსენალმა“ „სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ ესპანურმა კლუბმა იუარა. მერე რიგში „ტოტენჰემი“ ჩადგა და ოცზე მეტსაც იხდიდა, თუმც „მამლებსაც“ არაფერი გამოუვიდათ.

გუშინ „სევილიას“ მეგოლე ჟულიო ბაპტისტამ განაცხადა: „არასოდეს მითქვამს, რომ აქედან წასვლა მინდოდა. კონტრაქტის დასრულებამდე ერთი წელი დამრჩა, თან ესპანურ პასპორტს ველოდები და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პრიმერადივიზიონს მივეჩვიე, სხვა ქვეყნის ჩემპიონატში თამაში კი ალბათ გამიჭირდება“.

ბაპტისტამ დაადასტურა, არსენ ვენგერს ვესაუბრე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „არსენალში“ გადასვლა მსურსო. „სევილია“ ვენგერზე ფიფაში ჩივილს აპირებდა, ჩვენი მოთამაშის გადაბირებას უკანონოდ ცდილობდნენო, მაგრამ საქმე მუქარას არ გასცილებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თოვლიანი ზიმბაბვე


ბენჟამინ მვარუვარი

**„ოსერის“** ზიმბაბველმა ფორვარდმა ბენჟამინ მვარუვარიმ შვებულებიდან დაბრუნება დაიგვიანა და კლუბი ფეხბურთელის დაჯარიმებას აპირებს. მვარუვარი საფრანგეთში ივლისის დასაწყისში უნდა ჩასულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ გზაშია. მან „ოსერს“ აცნობა, რომ შევყოვნდებიო, მაგრამ ჯარიმა არ ასცდება. ფორვარდი გუნდიდა წასვლაზე ფიქრობს და ეს ხრიკიც ამიტომ მოიგონა, ეგებ გამიშვანო.

„მვარუვარი“ ტრავმირებული არ არის და არც ავადმყოფობდა — თქვა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ — არ მესმის, რატომ დაიგვიანა. ეგებ ზიმბაბვეში მოთოვა და მის გადნობას ელოდებოდა. კლუბის პრეზიდენტი გაარკვევს დაგვიანების მიზეზს და შესაძლოა, გავყიდოთ“.

ბენჟამინ მვარუვარის გადაბირებას ამ ზაფხულს „ლიონი“ ცდილობდა და ფრანგული მედიის ცნობით, მისი გვარი მიუნხენის „ბაიერნის“ სავარაუდო შესაძენ ფეხბურთელთა სიაშიცაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ზეპჩე ტომიჩმა დაწვა

**უეფას თასის** პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, „ბაშკიმისა“ და „ზეპჩეს“ მატჩში, რომელიც მაკედონიაში გაიმართა და 0:0 დასრულდა, სტუმრებს ტექნიკური წაგება, 0:3 წაგება ჩაეთვალათ.

ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „ზეპჩემ“ თავის რიგებში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ილვო ტომიჩი ათამაშა. ამ უკანასკნელმა „სლობოდაში“ ყოფნისას, 2003 წელს, ინტერტოტოს თასზე „ლიერსთან“ შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო და უეფამ მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ერთი შეხვედრა ტომიჩმა მაშინვე გამოტოვა, მეორემ კი ახლა მოუწია და დისკვალიფიკაციის შესახებ არაფერი ახსოვდა.

ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციამ და „ზეპჩეს“ ხელმძღვანელობამ დაიჩივლეს — არაფერი ვიცოდითო. თუმც უეფამ განაჩენი ძალაში დატოვა. მის გასაჩივრებასაც, სავარაუდოდ, სხვა შედეგი არ მოჰყვება.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ბაშკიმი“ და „ზეპჩე“ უეფას თასზე თავიანთ ისტორიაში პირველად მოხვდნენ, ხოლო საპასუხო მატჩი 28 ივლისს გაიმართება.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ისინი თასს ითხოვენ
## შრტყი, ხავი, შრტყი!



რვა წელია ხავი ერნანდესი „ბარსელონაში“ თამაშობს. მისი აზრით, „ბარსას“ ასეთი დაბალანსებული გუნდი კარგა ხანია, არ ჰყოლია. შვებულებისას ხავიმ ფეხბურთის სკოლის გახსნა მოასწრო, სადაც ყოველდღიურად 240 ბავშვი ვარჯიშობს. მოკლედ, „ბარსელონა“ ახალი სეზონისთვის ემზადება, ხოლო ხავი ერნანდესი გუნდის მომავალზე საუბრობს

**— რას ელით ახალი სეზონისგან?**

— ჯილდოებს. ჩვენ ბრწყინვალე გუნდი გვყავს, ორი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ და ოთხი ტრავმირებულიც გამოკეთდა.

**— ჩემპიონებისგან ქომაგები უფრო მეტს მოითხოვენ...**

— ისინი ჩემპიონთა თასს ითხოვენ და ეს გასაგებიცაა. ამჟამინდელი „ბარსელონასი“ მათ ძალიან ეიმედებათ. ექვსი წლის განმავლობაში არაფერი მოგვიგო. გასულ სეზონში კი ნავსი გავტეხეთ. ახლა ფსიქოლოგიურად კარგად ვართ განწყობილნი და ვიცით, რომ უფრო მაღალი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**— შეძლებთ კი მთავარი ევროთასის მოგებას?**

— ასეთი გუნდით ყველაფრის მოგება შეიძლება. ბოლო რვა წელია, „ბარსელონა“ ასეთი ძლიერი არ ყოფილა. თითოეულ პოზიციაზე უმაღლესი კლასის ორი მოთამაშე გვყავს.

**— მადრიდის „რეალზე“ რას იტყვით?**

— ორი სეზონია, „რეალი“ ხელმოცარული რჩება, რის გამოც უფრო გამწარებული და გამარჯვებას მოწყურებულია. როგორც არ უნდა თამაშობდეს ეს გუნდი — ცუდად თუ კარგად — ყოველთვის ჯილდოებისთვის იბრძვის. ვანდერლეი ლუშემბურგომ დაამტკიცა, რომ შესანიშნავი მწვრთნელია. საინტერესოა, თუ როგორ ითამაშებს „რეალი“ ახალ სეზონში. ჩვენ კი უკვე გავარკვიეთ — „ბარსელონას“ ბურთის კონტროლი უყვარს.

**— მეტოქეებმაც შეისწავლეს „ბარსელონა“ და ეცდებიან, ბურთის გორებაში ხელი შეგიშალონ...**

— ცხადია, მაგრამ რონალდინიოს და ეტოოს ხომ ვერაფერი მოუხერხეს. რაიკარდის სქემას გუნდი კარგად მოერგო და ამ სეზონშიც ასე გავაგრძელებთ.

**— თქვენ უფრო ხშირად ჩაერთვებით შეტევაში თუ მოედნის ცენტრს ჩაიბარებთ?**

— ყველა პოზიციაზე გამოვცადე თავი. საჭიროების მიხედვით ადგილის შეცვლა შემიძლია, მაგრამ მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს ყოფნა უფრო მხიბლავს, ვიდრე დაცვაზე ზრუნვა.

**— გოლების გატანას უნდა უმატოთ...**

— ნამდვილად ასეა. რაიკარდი სულ მეუბნება, კარში ხშირად დაარტყიო, რადგან ეს საქმე კარგად გამოგდისო. მიუხედავად ამისა, მაინც ვცდილობ, რომ უკეთეს პოზიციაში მყოფი თანაგუნდელი მოვნახო.

**— რვა-ცხრა გოლზე დათანხმდებით?**

— საუცხოო იქნებოდა, მაგრამ ალბათ არ გამოვა. ჩემი მთავარი კოზირი ბოლო პასია.

**— კლუბმა კონტრაქტი გაგიხანგრძლივათ, რაც პასუხისმგებლობას გმატებთ...**

— მესმის, რომ ჩემი ეიმედებათ და ძალიან მაფასებენ, მე კი კარგი და ეფექტური თამაშით უნდა დავუმტკიცო ერთგულება.

**— სავიოლაზე რას ფიქრობთ?**

— ძალიან მინდა, რომ „ბარსელონაში“ დატოვონ. ის ჩემი მეგობარია. ერთი კვირის წინ ტელეფონით ვესაუბრე და როგორაც შემეძლო, გავამხნევე.

**— ანრი თუ ბაპტისტა?**

— ორივე დიდებული ფეხბურთელია. პირველი მათგანი კი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.



ხავის (მარცხნივ) „ბარსელონაში“ ძალიან აფასებენ



აილტონი კარიერას თურქეთში გააგრძელებს

# აილტონი თურქულად იფრენს

**გელზენკირხენის** „შალკეს“ ფორვარდი აილტონი „ბეშიქთაშში“ გადავიდა, რომელსაც თურქეთში „შავ არწივს“ ეძახიან.

სტამბოლური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კივანჩი ოქთაი გერმანიაში ჩავიდა და პირადად ესაუბრა ბრაზილიელს. შედეგად, მეგოლეც და „შალკეც“ გარიგებაზე დათანხმდნენ. „ხუმარები“ ტრანსფერში დაახლოებით 3 მილიონ 500 ათას ევროს მიიღებენ, ხოლო აილტონის წლიური ჯამაგირი მილიონი ევრო იქნება. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ „შალკეს“ პრესმდივანმა გერდ ვოსმა განაცხადა, პირობებზე უკვე შევთანხმდითო.

მოგეხსენებათ, აილტონმა ექვსი წელი ბრემენის „ვერდერში“ გაატარა. შარშან ბუნდესლიგის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მერე კი „შალკემ“ 2004-ის ზაფხულში გადაიბირა, მაგრამ ბრაზილიელს გელზენკირხენი და იქაურობა არ მოეწონა — რამდენჯერმე დაიწუწუნა კიდეც. ამიტომაც არჩია სტამბოლი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ერთმანეთის ჯიბრზე
## პანათინაიკოსი და ოლიმპიაკოსი იმატებენ და იმატებენ

**ექვსკვირიანი** ვაჭრობის შემდეგ, 31 წლის ბრაზილიელი ფლავიო კონსეისაო „გალათასარაიდან“ „პანათინაიკოსში“ გადავიდა.

კონსეისაომ კარიერა „რიო ბრანკოში“ დაიწყო, მერე „დეპორტივოში“ გადაბარგდა და 2000 წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდა. იმავე ზაფხულს მადრიდის „რეალმა“ კონსეისაოს სანაცვლოდ გალისიურ კლუბს 26 მილიონი ევრო გადაუხადა, მაგრამ ბრაზილიელი ტრავმებმა დატანჯა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი რომ დაკარგა, „რეალმა“ დორტმუნდის „ბორუსიას“ ათხოვა. ბუნდესლიგაშიც არ გაუმართლა, რის გამოც კიდევ ერთხელ შეიცვალა გუნდი და „გალათასარაიში“ აღმოჩნდა.

„პანათინაიკოსმა“ ფლავიო კონსეისაოს გარდა, ხორვატი იგორ ბიშკანიც გადაიბირა, რომელსაც „ლივერპულთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი დაუმთავრდა და ფეხბურთელი ბერძნულ კლუბს მუქთად ერგო.

„პანათინაიკოსს“ გაძლიერებაში „ოლიმპიაკოსი“ ეჯიბრება. პირეოსელთა მწვრთნელ ტრონდ სოლიედის რეკომენდაციით, კლუბმა „ვოლერენგადან“ ნორვეგიის ნაკრების ფორვარდი სტეფენ ივერსენი შეიძინა. ივერსენზე ადრე კი „ოლიმპიაკოსმა“ „მიუნხენ 1860“-დან თურქი ეროლ ბულუტი იყიდა. ბულუტს საბერძნეთში ადრეც უთამაშია. იგი 2001-2003 წლებში „პანიონიოსში“ გამოდიოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ტიმ კრული

# კრული კაჭკაჭია

**„ნიუკასლმა“** ჰოლანდიური „დენ ჰაგიდან“ 17 წლის მეკარე ტიმ კრული შეიძინა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ეს უკვე „კაჭკაჭთა“ მესამე ახალწვეულია სკოტ პარკერისა და ემრე ბელოზოღლუს შემდეგ.

გახარებულმა ყმაწვილკაცმა განაცხადა: „უბედნიერესი კაცი ვარ, რადგან პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში აღმოვჩნდი. ინგლისში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. ბავშვობაში მამაჩემს სულ ინგლისზე ველაპარაკებოდი, რადგან ჰოლანდიაში პრემიერლიგა მეტად პოპულარულია. „სენტ ჯეიმს პარკი“ უკვე დავათვალიერე და აქაურობა ძალიან მომეწონა. „ნიუკასლში“ დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ. სასიამოვნოა, რომ მალე მათთან ერთად ვივარჯიშებ“.

ტიმ კრული ჰოლანდიის 17-წლამდელთა ნაკრების წევრია, რომელმაც მაისში ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ფლავიო კონსეისაოს „პანათინაიკოსის“ ქომაგები გულთბილად შეხვდნენ

# რეალს ბექემი დაუშავდა

## რონალდო არ იყიდება, გუტი გვჭირდება



დევიდ ბექემი სამკურნალოა

**მადრიდის** „რეალმა" ამერიკაში ტურნე დაასრულა და აზიისკენ დაიძრა. მექსიკური „გვადალახარას" 3:1 ძლევის შემდეგ „სამეფო კლუბმა" ამერიკულ „ლოს ანჯელეს გალაქსისაც" მოუგო 2:0. პირველი გოლი მატჩის დებიუტშივე გაიტანა მაიკლ ოუენმა. შეხვედრის მიწურულს კი გუნდის ახალგაზრდა ფორვარდმა რობერტო სოლდადომაც იხეირა.

შეხვედრას ტრავმის გარეშე არ ჩაუვლია. მადრიდელთათვის სამწუხაროდ, დევიდ ბექემი დაშავდა. რამდენად სერიოზულად, ამას გამოკვლევა დაადგენს. დიდი შანსია, ინგლისელი „რეალს" აზიურ ტურნეში დააკლდეს. არადა, იქ რომ ძალიან პოპულარულია და მრავალ გულშემატკივარს მის სანახავად უნდა „სამეფო კლუბის" მატჩებზე დასწრება, თავადაც იცით.

„მუხლი ახლაც მაწუხებს, სავარაუდოდ, ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ ყველაფერს ექიმები დაადგენენ. გუნდს ტაილანდში გავყვები, მაგრამ თუ ვარჯიშს და თამაშს ვერ შევძლებ, შინ დავბრუნდები" — აღნიშნა ბექემმა.

„რეალის" ქომაგებს კი თავიანთი გუნდის სატრანსფერო ბაზარზე უჩვეულო პასიურობა აღელვებთ და იმედს იტოვებენ, რომ მადრიდელები სექტემბრამდე რამდენიმე სერიოზულ შენაძენს გააკეთებენ. ორ ურუგვაელ ახალწვეულს (პაბლო გარსია და კარლოს დიოგო) თუ არ ჩავთვლით, „სამეფო კლუბს" ჯერ არავინ უყიდია.

მოგეხსენებათ, დიდი ხანია, ლაპარაკია რობინიოს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლაზე, მაგრამ ამ ტრანსფერს საშველი არ დაადგა. ვრცელდება ჭორები რონალდოს ადრიანოში შესაძლოა გაცვლაზეც, თუმც „რეალის" ხელმძღვანელობამ კატეგორიულად გამორიცხა.

„ადრიანოსა და რონალდოს გაცვლაზე გავრცელებული ჭორები უსაფუძვლოა. არანაირი მოლაპარაკება არ ყოფილა. კლუბი რონალდოს გაყიდვას არ აპირებს და ამ საკითხზე არც ერთ წინადადებას არ განიხილავს" — ნათქვამია მადრიდელთა ოფიციალურ განცხადებაში.

ჯერჯერობით გუნდში რჩება ხოსე მარია გუტიც. მას, ლუიშ ფიგუს დარად, წასვლა უნდა, რადგანაც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის. თუმცა ესპანელ ნახევარმცველს, პორტუგალიელისგან განსხვავებით, უფროსობა აკავებს, აქაოდა, კლუბს სჭირდებიო.

„გუტი ბოლომდე გვაკმაყოფილებს და მისი გაყიდვა არ გადაგვიწყვეტია, ჩემთვის იგი „რეალის" საჭირო და განუყოფელი ნაწილია" — თქვა მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ.

„ამ დროისთვის ახალი არაფერია. კლუბები, რომლებიც ჩემი კლიენტით იყვნენ დაინტერესებულნი, ბოლო პერიოდში არ შეგვხმიანებიან. შესაბამისად, გუტი ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძნობს მუშაობას, იგი ნამდვილი პროფესიონალია" — ეს კი ფეხბურთელის აგენტ ზორან ვეკიჩის სიტყვებია.



„რეალი" ამერიკელებთან მატჩში მაიკლ ოუენის გოლით დაწინაურდნენ

**გიორგი ძაძაბაძე**



ემერსონ ლეაო

# სამწვრთნელო დომხალი ბრაზილიაში

**ბრაზილიის** ნაკრების ყოფილ თავკაც ემერსონ ლეაოს „პალმეირასი" ჩააბარეს. მან პაულო ბონამიგო შეცვალა, რომელიც გუშინ დილით გაათავისუფლეს პოსტიდან. ბონამიგოს 16 ტური გაუძლეს, მაგრამ „ფორტალეზასთან" მარცხისა და ცხრილში მეთექვსმეტე საფეხურზე დაშვების შემდეგ გაუშვეს.

მწვრთნელი შეუცვალეს „გოიასსაც" — „ბრაზილიენსესთან" საშინაო წაგებამ ედსონ გაუჩო შეიწირა და მისი ადგილი გენინიომ დაიკავა.

„ვასკუ და გამას" თავკაცი დიარო ლოურენსოც გათავისუფლებული კოლეგების გზას დაადგა. ამ გუნდში მოთამაშე რომარიოს, ლოურენსო მოგეხსენებათ, გულზე არ ეხატებოდა, რომლის სკამიც რენატო პორტალუპის ერგო.

მეთვრამეტე ადგილზე მყოფ „პაისანდუს" მწვრთნელ კამპოსს კი გულშემატკივრები გასახდელში შეუცვივდნენ და გუნდიდან გააგდეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აბდულკადერი ლიგაში

**„ლილმა"**, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშოს, კოტ დივუარელი აბდულკადერ კეიტა შეიძინა. კეიტა ყატარული „ალ საადის" ფორვარდი იყო და ფრანგულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 2 მილიონ 300 ათასი გირვანქა გაიღო.

გუნდის მწვრთნელ კლოდ პუელს „მარსელის" ჰაბიბ ბამოგო და „მონაკოს" სულეიმან კამარას ყიდვაც სურდა, მაგრამ მერე ეს ტრანსფერი შეაჩერა.



აბდულკადერ კეიტა

კოტ დივუარელი მეგოლე კეიტას გარდა, „ლილს" მაროკოელი ჰიშამ აბუშარუანეს გადაბირებაც უნდა, რომელიც „რაჯა კასაბლანკაში" თამაშობს. პუელის მოთხოვნით, კლუბმა 20 წლის ფორვარდ ნიკოლა ფოვერჟესთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა და ფოვერჟე გუნდში 2010 წლამდე დარჩება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შავი მარგალიტი ბორდოსთვის



ედიქსონ პერეა

**„ბორდო"** სამხრეთ ამერიკას „შეესია" და ორი იქაური ფეხბურთელი იყიდა. კოლუმბიელმა ედიქსონ პერეამ და არგენტინელმა ალეხანდრო ალონსომ ფრანგულ კლუბთან ოთხ-ოთხ წლიანი კონტრაქტები გააფორმეს. „ბორდოს" შემადგენლობის გაძლიერება სჭირდებოდა მას შემდეგ, რაც კამელ მერიემი „მონაკოში" გაუშვა.

21 წლის პერეა „ნასიონალ მედელინის" ფორვარდი იყო და გასულ სეზონში კოლუმბიელ მეგოლეებში მეორე ადგილზე გავიდა. პერეა, მეტსახელად „შავი მარგალიტი", კოლუმბიის ეროვნულ ნაკრების წევრიცაა.

მეორე ახალწვეული ალეხანდრო ალონსო კი მარჯვენა ნახევარმცველია და იგი „ბორდომ" „ურაკანიდან" შეიძინა. ამჟამად ფრანგულ გუნდს ბრაზილიელი რიკარდო წვრთნის და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სანტოსში" განათხოვრებულ დეივიდსაც დაიბრუნებს, „ბორდო" სამხრეთამერიკული გამოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბა და ტრუა



ჟორჟ ბა

**ფრანგულ** ელიტაში დაბრუნებული „ტრუა" მოღონიერებას ლამობს. ტრუელებმა „ნიცადან" ორი ფეხბურთელი დაიმატეს, ჟორჟ ბა და ფლორიან ბუკანსო. უმაღლეს დივიზიონში დარჩენა თუ გვსურს, სათანადო კლასის მოთამაშეები გვჭირდებაო — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა მორის კოენმა.

26 წლის ჟორჟ ბა თავდამსხმელია. მან გასული სეზონი იჯარით „მონპელიეში" და მერე „ლე მანში" გაატარა, მანამდე კი „ლიდსში" იყო და იქ ფეხი ვერ მოიკიდა.

მეორე ფეხბურთელი ფლორიან ბუკანსო კი ცენტრალური მცველია. იგი გასულ თვეში „გენიონიდან" „ნიცაში" ოთხწლიანი კონტრაქტით გადავიდა, მაგრამ მწვრთნელ ფრედერიკ ანტუანეტმა დროებით „ტრუას" დაუთმო. ორი ნიცელის გარდა, მორის კოენი პსჟ-დან ბრანკო ბოშკოვიჩის გადაბირებასაც ცდილობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალიური ტრანსფერები 2005-2006




პატრიკ ვიეირა ფაბიო კაპელოს „იუვენტუსში“ დაუბრუნდა

## იუვენტუსი

**წავიდნენ**

კაპო (მონაკო, საფრანგეთი)
ზეიტულაევი (რეჯინა)
მირანტე (სიენა)
ძანკი (მესინა)
ლეგროტალიე (სიენა)
მარესკა (სევილია, ესპანეთი)
აპია (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
ბენჯამინი (სტანდარდი, ბელგია)
გასტალდელო (სიენა)
ვოლპატო (სიენა)
მასიელო (პალერმო)

**მოვიდნენ**

ჯანიკედა (ლაციო)
რ. კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია)
კიელინი (ფიორენტინა)
მიკოლი (ფიორენტინა)
ი. ტუდორი (სიენა)
კიუმიენტო (სიენა)
ბუდიანსკი (რეჯინა)
ვიეირა (არსენალი, ინგლისი)

## მილანი

**წავიდნენ**

აბიატი (ჯენოა)
პანკარო (ფიორენტინა)
ესაიასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბროკი (ფიორენტინა)
დორასო (პსჟ, საფრანგეთი)
კრესპო (ჩელსი, ინგლისი)
ტომასონი (შტუტგარტი, გერმანია)
დონადელი (ფიორენტინა)
დონატი (მესინა)
დალა ბონა (სამპდორია)
სამარკო (კიევო)
ბორიელო (სამპდორია)
პოცი (ემპოლი)

**მოვიდნენ**

აბატე (ნაპოლი)
ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
იანკულოვსკი (უდინეზე)
ელეფთეროპულოსი (მესინა)
ვიერი (ინტერი)
ჯილარდინო (პარმა)

## ინტერი

**წავიდნენ**

გამარა (პალმეირასი, ბრაზილია)
ვიერი (მილანი)
პასკუალე (პარმა)
ს. დალმა (რასინგი, ესპანეთი)
ა. ფონტანა (კიევო)
ემრე (ნიუკასლი, ინგლისი)
სორონდო (ჩარლტონი, ინგლისი)

**მოვიდნენ**

ჟულიო სეზარი (ფლამენგო, ბრაზილია)
ვომე (ბრეშა)
მორფეო (პარმა)
სოლარი (რეალი, ესპანეთი)
დ. პიზარო (უდინეზე)

## უდინეზე

**წავიდნენ**

იანკულოვსკი (მილანი)
კროლდრუპი (ევერტონი)
ჯემიტი (მოდენა)
კრიბარი (ლაციო)
ბელერი (ლაციო)
დ. პიზარო (ინტერი)
იორგენსენი (ფიორენტინა)

**მოვიდნენ**

ბარეტო (ტრევიზო)
ვიდიგალი (ლივორნო)
გოტი (ატალანტა)
მუსლიმოვიჩი (რიმინი)
კანდელა (რომა)
ჯედაფი (პერუჯა)
ალბერტო (სიენა)
დ. მოტა (ატალანტა)
მაური (მოდენა)
ტოლედო (ასკოლი)
ნატალი (ატალანტა)
როსინი (სამპდორია)
ობოდო (პერუჯა)
რინალდი (ატალანტა)
ნომვეტე (ასკოლი)
დაგოსტინო (ტრევიზო)

## სამპდორია

**წავიდნენ**

ს. ინძაგი (ლაციო)
გასბარონი (პალერმო)
როსინი (ატალანტა)
საკეტი (მოდენა)
ტურჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ძაული (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
სალა (ატალანტა)
ბაცანი (ლაციო)
დალა ბონა (მილანი)
პაგანო (ატალანტა)

## პალერმო

**წავიდნენ**

ძაული (სამპდორია)
პოსანცინი (ბრეშა)
ადრიანუ (ატალანტა)
ბუდანი (ატალანტა)
მატეინი (ემპოლი)
მორონე (ლივორნო)
ტონი (ფიორენტინა)

**მოვიდნენ**

კარაჩოლო (ბრეშა)
გასბარონი (სამპდორია)
ა. ფილიპინი (ლაციო)
ე. ფილიპინი (ლაციო)
დი დონატო (სიენა)
მასიელო (იუვენტუსი)
პეპე (პიაჩენცა)
მოდესტო (ასკოლი)
ვირგა (რომა)
მაკინვა (ატალანტა)
ტერლიცი (ლაციო)
ბონანი (რომა)
ტერლიცი (ლაციო)

## მესინა

**წავიდნენ**

ელეფთეროპულოსი (მილანი)
პარიზი (ჯენოა)
კუჩარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

სკული (ბრეშა)
ძანკი (იუვენტუსი)
დონატი (მილანი)
დე სოუზა (ლაციო)
კალიონი (ატალანტა)
ძანიოლო (სალერნიტანა)
მ. კოპოლა (სალერნიტანა)

## რომა

**წავიდნენ**

ბონანი (პალერმო)
ვირგა (პალერმო)
პელიცოლი (რეჯინა)

**მოვიდნენ**

ტადეი (სიენა)
კუფური (ბაიერნი, გერმანია)
ნონდა (მონაკო, საფრანგეთი)
ბრიგი (კიევო)
სარტორი (ჯენოა)
ბოვო (პარმა)

## ლივორნო

**წავიდნენ**

ვიდიგალი (უდინეზე)
მაცონი (პავია)
გრაუზო (მანტოვა)
ვიჯანი (რეჯინა)
პროტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ჯინესტრა (პეზარო)
ფანუჩი (პესკარა)
ზე როდოლფო (ჟუვენტუდე, ბრაზილია)
პაულინიუ (ჟუვენტუდე, ბრაზილია)
სეზარ პრატესი (ბოტაფოგო, ბრაზილია)
გამბადორი (პავია)
კორდოვა (ასკოლი)
პალადინო (სალერნიტანა)
ჩენტი (ტრევიზო)
მორონე (პალერმო)
ჯ. კოლუჩი (ვერონა)

## ლაციო

**წავიდნენ**

ჯანიკედა (იუვენტუსი)
ა. ფილიპინი (პალერმო)
ე. ფილიპინი (პალერმო)
დე სოუზა (მესინა)
სერიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ტალამონტი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ბაცანი (სამპდორია)
სივილია (პარმა)
ნეგრო (სიენა)
ტერლიცი (პალერმო)
ფ. კოუტუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სერენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ფირმანი (კატანია)
ბარონიო (კიევო)
ს. ინძაგი (სამპდორია)
პიკოლო (რეჯინა)
კრიბარი (უდინეზე)
ბელერი (უდინეზე)

## ლეჩე

**წავიდნენ**

ბიელანოვიჩი (ჯენოა)
პაჩი (ჯენოა)
ჩირილო (აეკ, საბერძნეთი)
პინარდი (ატალანტა)
დიამუტენე (ლუკეზე)

**მოვიდნენ**

პეკორარი (ტრიესტინა)
დ. ვალდესი (ბარი)
პოლენგი (სალერნიტანა)
კოცოლინო (ჯულიანოვა)
ბილი (მონსი, ბელგია)
ანელი (კატანძარო)
კორალო (სორა)
კამორანი (ფიორენტინა)
ბენუსი (ვენეცია)
პელე (კატანძარო)

## კალიარი

**წავიდნენ**

ალვარესი (ნასიონალი, ურაგვაი)
აგოსტინი (ემპოლი)
ბიანკი (ატალანტა)
ლორია (ატალანტა)
საბატო (კატანია)
ბრამბილა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დელ ნევო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ტომაზიჯი (ბელუნო)
კოსუ (ვერონა)
კანინი (სამბენედეტეზე)
კაპონე (ტრევიზო)

## რეჯინა

**წავიდნენ**

სოვიერო (ვენეცია)
ბუდიანსკი (იუვენტუსი)
ესტევესი (ვიჩენცა)

**მოვიდნენ**

ბელარდი (მოდენა)
ლეისალი (ვენეცია)
მორაბიტო (კატანძარო)
ვიკარი (კატანძარო)
დიონიჯი (ბარი)
ბოგდანი (ვერონა)
ლეონი (სამბენედეტეზე)
ძოპეტი (ტრევიზო)
პელიცოლი (რომა)
ვიჯანი (ლივორნო)
ზეიტულაევი (იუვენტუსი)
რიგონი (ვიჩენცა)
ბიონდინი (ვიჩენცა)

## სიენა

**წავიდნენ**

ტადეი (რომა)
მანინგერი (ზალცბურგი, ავსტრია)
ნიკოლა (ტერნანა)
ი. ტუდორი (იუვენტუსი)
ალბერტო (უდინეზე)
დი დონატო (პალერმო)
კიუმიენტო (იუვენტუსი)
პეკია (ბოლონია)
არჯილი (მოდენა)
მაკარონე (მიდლსბრო, ინგლისი)
ბერეტი (პოტენცა)
ტ. ფლო (ვოლერენგა, ნორვეგია)

**მოვიდნენ**

მენეგაცო (კატანია)
სერაფინი (კატანია)
ბონომი (კატანძარო)
მირანტე (იუვენტუსი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
ნეგრო (ლაციო)
ლოკატელი (ბოლონია)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ნანი (დინამო, უკრაინა)
ვოლპატო (იუვენტუსი)

## კიევო

**წავიდნენ**

ბარონიო (ლაციო)
ბრიგი (რომა)
ფუზანი (პერუჯა)
მარკეზეტი (კრემონეზე)
მარკონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ბოვა (იმოლეზე)
კ. ესპოზიტო (ტრიესტინა)
ფონტანა (ინტერი)
ბრუნო (ტორინო)
ანტონელი (ასკოლი)
სამარკო (მილანი)

## ფიორენტინა

**წავიდნენ**

პიანჯერელი (არეცო)
კიელინი (იუვენტუსი)
მიკოლი (იუვენტუსი)
კარუზო (ბარი)
ობოდო (უდინეზე)
სავინი (კატანია)
კამორანი (ლეჩე)
ლუპატელი (პარმა)
არიატი (ატალანტა)
დელი კარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დი ლივიო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

დონადელი (მილანი)
ბროკი (მილანი)
ს. ფრეი (პარმა)
თ. მანფრედინი (ხპალ)
პასკუალი (არეცო)
ფანელი (კატანია)
ერიზასი (სელტა, ესპანეთი)
ბაჩისი (არეცო)
სონჩინი (ლანჩანო)
გამბერინი (ბოლონია)
პანკარო (მილანი)
ტონი (პალერმო)
ფიორე (ვალენსია, ესპანეთი)
იორგენსენი (უდინეზე)

## პარმა

**წავიდნენ**

ს. ფრეი (ფიორენტინა)
მორფეო (ინტერი)
ბოვო (რომა)
ვინიაროლი (მოდენა)
რუოპოლო (ლოკომოტივი, რუსეთი)
ჯილარდინო (მილანი)

**მოვიდნენ**

დედიჩი (ემპოლი)
სივილია (ლაციო)
პასკუალე (ინტერი)
ლუპატელი (ფიორენტინა)

## ჯენოა

**წავიდნენ**

ჯემიტი (უდინეზე)
სარტორი (რომა)
იტალიანო (ვერონა)

**მოვიდნენ**

მარკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი)
ლავეცი (ესტუდიანტესი, არგენტინა)
აურელიო (კარარეზე)
აბიატი (მილანი)
ლანძარო (სალერნიტანა)
პარიზი (მესინა)
დე აშენტისი (ტორინო)
პაჩი (ლეჩე)
ბიელანოვიჩი (ლეჩე)

## ემპოლი

**წავიდნენ**

ფოჯა (ნაპოლი)
საუდატი (ატალანტა)
ნომვეტე (უდინეზე)
მ. კასანო (პიაჩენცა)

**წავიდნენ**

ასკოლი (კატანძარო)
აგოსტინი (კალიარი)
მატეინი (პალერმო)
პელეკია (კასტელნუოვო)
პოცი (მილანი)
ნოვიელო (ლოდიჯანი)
ბერტი (ტორინო)

## ტორინო

**წავიდნენ**

სორენტინო (აეკ, საბერძნეთი)
დე აშენტისი (ჯენოა)
ბერტი (ემპოლი)

**წავიდნენ**

მ. კელერი (ვიბორგი, დანია)
ნაცურასი (იონიკოსი, საბერძნეთი)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 2 | პაშინგი-რიდი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 21:30 | 3 | შტურმი-ადმირა | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| 21:30 | 4 | აუსტრია-გრაცერი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 5 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 11 | ლინცერი-ალტახი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 21:00 | 12 | აუსტრია(ლ)-გრატკორნი | 1.40 | 3.70 | 6.80 | 1.01 | 1.16 | 2.39 |
| 21:00 | 13 | შვანენშტადტი-კაფენბერგი | 2.75 | 3.00 | 2.35 | 1.43 | 1.26 | 1.31 |
| 21:00 | 14 | ლეობენი-კერნტენი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:00 | 15 | აუსტრია(მ)-კუფშტაინი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 16 | ივერდონი-იანგ ბოიზი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 17 | თუნი-ბაზელი | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 18 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 21:30 | 19 | აარაუ-სტ.გალენი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 20 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 30 | ცსკა-ტორპედო | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 39 | არკა-ლეგია | 4.00 | 3.20 | 1.75 | 1.77 | 1.21 | 1.13 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 40 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 41 | ნიტრა-პეტრჟალკა | 2.55 | 3.00 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 20:00 | 42 | ტრნავა-რუჟომბეროკი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 44 | პუხოვი-ჟილინა | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 45 | ჰაიდუკი-ოსიეკი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 47 | კამენი-ვარტექსი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 20:00 | 50 | ზაგრები-სლავენი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 46 | ციბალია-დინამო | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 20:00 | 48 | მედიმურიე-ინტერი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| | | **დანია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 57 | სილკებორგი-ორჰუსი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 21:00 | 58 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 21:00 | 59 | [illegible] | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 21:00 | 60 | ჰორსენსი-ვიბორგი | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| 22:00 | 61 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 68 | მოლდე-ბრანი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 69 | ვოლერენგა-ჰამარი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 70 | ფრედრიკსტადი-ლინი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 71 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 72 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 22:15 | 73 | ალესუნდი-როზენბორგი | 5.00 | 3.90 | 1.55 | 2.19 | 1.18 | 1.10 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 74 | ლილესტრიომი-სტარტი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 78 | გიოტებორგი-გეფლე | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 84 | დეგერფორსი-აიკ | 4.20 | 3.50 | 1.65 | 1.90 | 1.18 | 1.12 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 88 | იარო-ტამპერე | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 90 | ინტერი-მიუპა | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 119 | კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 120 | კანზასი-ვაშინგტონი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 121 | კოლორადო-სან ხოსე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |

**ბრაზილია**

**20 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 128 | ფორტალესა-ატლეტიკო მნ | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 23:45 | 129 | ატლეტიკო პრ-ფლუმინენსე | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 23:45 | 130 | ინტერნასიონალი-გოიასი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:45 | 131 | სან კაეტანო-პარანა | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 23:45 | 132 | ბოტაფოგო-პონტე პრეტა | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 133 | ფიგეირენსე-პალმეირასი | 2.05 | 3.00 | 3.10 | 1.21 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 134 | ბრაზილიენსე-სან პაულუ | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 23:45 | 135 | სანტოსი-ვასკუ და გამა | 1.30 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.69 |

**21 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 136 | კორინთიანსი-პაისანდუ | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 23:45 | 137 | ფლამენგო-ჟუვენტუდი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:45 | 138 | კრუზეირო-კურიტიბა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |

**ევროპის**

**ჩემპიონატი(19)**

**ჩრდ ირლანდია**

**20 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 229 | ჩრდ.ირლანდია-სერბეთი | 5.80 | 3.70 | 1.45 | 2.25 | 1.15 | 1.04 |
| 22:00 | 230 | სომხეთი-ინგლისი | 6.20 | 3.80 | 1.45 | 2.35 | 1.17 | 1.04 |
| 23:00 | 231 | ნორვეგია-საფრანგეთი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 20:00 | 232 | საბერძნეთი-გერმანია | 3.80 | 3.30 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**20 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 152 | შელბურნი-გლენტორანი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 18:00 | 154 | პიუნიკი-პაკა | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 19:00 | 155 | ზრინსკი-დუდელანჟი | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| 21:30 | 157 | ანორთოსისი-დინამო(მნ) | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| 22:00 | 159 | პეტრუალკა-კაირატი | 1.25 | 4.70 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.02 |
| 23:15 | 161 | პაფნარფიორდური-ნეფჩი | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |

**ამხანაგური**

**მატჩები**

**20 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 167 | ვოლფსბურგი-პანზა | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |

**საერთაშორისო**

**ტურნირი კორეა**

**20 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 202 | ლიონი-პსვ | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |

**21 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 203 | სოსიედადი-ტოტენჰემი | 3.30 | 3.10 | 2.00 | 1.59 | 1.24 | 1.21 |
| 14:00 | 204 | ბოკა ხუნიორსი-სანდაუნსი | 1.50 | 3.40 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.20 |

**გერმანია. თასი**

**23 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 205 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 20:15 | 206 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |

**რუსეთი. თასი**

**20 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 207 | ზენიტი-ყუბანი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |

**ოქროს თასი (აშშ)**

**21 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 227 | აშშ-ჰონდურასი | 1.35 | 3.90 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.62 |
| 23:45 | 228 | კოლუმბია-პანამა | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |

CROCO BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13227 | აშშ-ჰონდურასი | 1.70 | 1.90 |
| 13228 | კოლუმბია-პანამა | 1.70 | 1.90 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12227 | აშშ-ჰონდურასი | 1.90 | 1.70 |
| 12228 | კოლუმბია-პანამა | 1.70 | 1.90 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14227 | აშშ-ჰონდურასი | 1.10 | 2.60 |
| 14228 | კოლუმბია-პანამა | 1.25 | 2.50 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15227 | აშშ-ჰონდურასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | კოლუმბია-პანამა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17227 | აშშ-ჰონდურასი | 1.85 | 1.95 |
| 17228 | კოლუმბია-პანამა | 1.85 | 1.95 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11227 | აშშ-ჰონდურასი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11228 | კოლუმბია-პანამა | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

# ზორბას ჰაპოელი ჩაეჭიდა, ის კი რუსეთისკენ მიიწევს

ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ზორბა კალათბურთელი, „თბილავიამშენის" 208-სანტიმეტრიანი ცენტრი კახა შენგელია სათამაშოდ საზღვარგარეთ მიდის. მას ბოლო ვარიანტად აქვს შემონახული ისრაელის „ჰაპოელი", რომელთანაც წინასწარ ხელშეკრულება უკვე გააფორმა, თუმცა შენგელიაითი გაცილებით ძლიერი გუნდები არიან დაინტერესებულნი და თუ უკეთესი პირობები შესთავაზეს, კახა ებრაელებს უარს შეუთვლის.

— უკვე გადაწყვეტილია, რომ „ჰაპოელში" ვითამაშებ, თუმც ახლა უკეთესი გუნდების ვარიანტები გამოჩნდა და ეგებ გადავიფიქრო ისრაელში წასვლა — გვითხრა კახა შენგელიამ.

**— თუ „ჰაპოელთან" კონტრაქტს ხელი მოაწერე, სხვა გუნდებთან როგორ აწარმოებ მოლაპარაკებას?**

— „ჰაპოელთან" წინასწარ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, რომლის დარღვევაც შემიძლია.

**— როგორ დაუკავშირდი ებრაელებს?**



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

— „ჰაპოელის" მენეჯერი და სპონსორი ამას წინათ თბილისის „მაკაბის" მწვრთნელ ჯამლეტ ხუხაშვილს სტუმრობდნენ და წინასწარ ხელშეკრულებასაც თბილისში მოვაწერე ხელი. ამ კლუბის ხელმძღვანელობა თანახმაა, რომ მათთან ვითამაშო და სექტემბერში მელოდებიან.

**— შენს შესაძლებლობებში რატომ არიან ასე დარწმუნებულნი?**

— იმ ხალხმა, რომელიც ახლა „ჰაპოელს" ხელმძღვანელობს, მე 2000 წელს უნგრეთში, ერთ-ერთ საკალათბურთო კემპზე მნახა. ებრაელებს ეროვნული ნაკრების მატჩიდანაც ვახსოვარ და ჩემს გუნდში აყვანაზე ბევრი არ უფიქრიათ.

**— „ჰაპოელის" გარდა რა ვარიანტი გაქვს?**

— რუსეთის სუპერლიგის „ხიმკი" და უკრაინული „ოდესის" მეპატიჟება. ამ გუნდების ვარიანტები მას შემდეგ გამოჩნდა, რაც „ჰაპოელს" შევუთანხმდი. სექტემბრამდე ჯერ დიდი დროა და რას ვკარგავ, ეგებ ეს გუნდები უკეთეს პირობებს მთავაზობენ.

**— თავად შენ საით მიგიწევს გული?**

— რუსეთში საკმაოდ მაღალი დონეა და თუ არჩევაა, იქ ვისურვებდი თამაშს. ისე, არც ისრაელშია სუსტი ლიგა და არც უკრაინაში. ამათ გარდა ირანის წამყვანი გუნდებიც მეპატიჟებიან, მაგრამ მათკენ გული არ მიმიწევს.

**— ამდენი ვარიანტიდან არჩევანის გაკეთება არ გაგიჭირდება?**

— ერთი არჩევანი უკვე გავაკეთე — „ჰაპოელი", თუ სხვა გუნდები უკეთეს პირობებს არ შემომთავაზებენ, სექტემბერში ისრაელში წავალ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA

# ტორნადომ გადაიარა
## მაიამიში კარგი ამინდია

მაიამიში ყველაფერი თანდათან თავის ადგილზე ლაგდება. ქარიშხალ „დენისს" არ ვგულისხმობთ. ფლორიდის საამაყო კლუბის „მაიამი ჰითის" შინაარეულობაზე მოგახსენებთ, რომელმაც გუნდში რამდენიმე დღის წინ იფეთქა და პრესა-ტელევიზიამაც ნაყოფიერად იმუშავა, კარგა ხანს რომ არ ჩამცხრალიყო.

თავიდან მოგყვეთ: „მაიამი ჰითის" პრეზიდენტმა და ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა პატ რაილიმ სახალხოდ განაცხადა, მინდა, ჩემს ძველ საქმეს, ანუ მწვრთნელობას დავუბრუნდეო. ეს განცხადება სულაც არ გახლდათ უწყინარი შინაარსის და არც რაილის სურვილი აღუქვამს ვინმეს დამსახურებული კაცის დამსახურებულ თხოვნად.

საქმე ის გახლავთ, რომ „ჰითს" თავკაცი ჰყავს, სტენ ვან განდი, რომელიც ორი წლის წინათ რაილის ასისტენტი იყო და მისგან ჩაბარებული უმოტივაციო, სუსტი გუნდი წლევანდელ პლეი ოფში აღმოსავლეთის ფინალამდე მიიყვანა. რაილის სიტყვა კანონია, ნბა-ში მას უდიდესი ავტორიტეტი აქვს და მით უმეტეს, „მაიამიში", რომლის შეფიც 1995 წლიდან გახლავთ. ასე რომ, ვან განდის ულაპარაკოდ მოუწევდა მისთვის პოსტის დათმობა.

პრესამ რაილის სიტყვები ისე შეაფასა, როგორც სხვის გაშლილ სუფრაზე დაჯდომის მსურველი კაცის თავხედური განცხადება და რაილის ავტორიტეტიც რამდენადმე შეილახა, თუმც, როგორც თავში ვთქვით, ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება.

„ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, სამ საათზე მეტი ვილაპარაკეთ და ბევრი რამ გავარკვიეთ. მე დავრჩები გუნდის მთავარ მწვრთნელად, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც და მზად ვარ, საქმეში კიდევ უფრო მეტი მონდომება და ენერგია ჩავდო" — ამბობს ვან განდი.

„მაიამი ჰითის" მოთამაშეები მწვრთნელისა და პრეზიდენტს შორის კონფლიქტში არ ჩართულან, შაკილ ონილიც კი, რომელიც დიდად არ ცდილობს თავის შეკავებას და მსგავს ვითარებაში საკუთარ ვალდებულებად მიაჩნია, როგორც გუნდის ლიდერმა, რაიმე კომენტარი გააკეთოს. ახლა მას ხმა არ ამოუღია, თავად პატ რაილი კი კომენტარებს ძუნწად იძლევა.

**კოტე ყორშია**





პატ რაილი და სტენ ვან განდი, მგონი, შერიგდნენ




# სიეტლში ხმა დაირხა
## ზებგერითებს
## ბობ ვეისი გაწვრთნის

„სიეტლ სუპერსონიქსს" ახალი თავკაცი ჰყავს. გუნდის შეფებს დიდხანს არ უგლოვიათ მარადი სიეტლელის ნეიტ მაკმილანის დაკარგვა, არც მოღალატედ გამოუცხადებიათ, აქაოდა, როგორც მოთამაშე და როგორც მწვრთნელიც ჩვენთან დავაჟკაცდა და მერე „პორტლენზე" გაგვცვალაო, ადგნენ და „ზებგერითებისთვის" ახალი თავკაცის ძებნა დაიწყეს.

ამ პერსპექტიული გუნდის პოტენციურ მესაჭედ პრესა ძირითადად ორ ცნობილ სპეციალისტს განიხილავდა — „მინესოტადან" გაშვებულ ფლიპ სანდერსსა და „კლივლენდიდან" დათხოვნილ პოლ საილასს, თუმც სამუშაო მაინც სულ სხვას ერგო — მომავალი სეზონიდან „ზებგერითებს" მაკმილანის ყოფილი ასისტენტი ბობ ვეისი გაწვრთნის.

ვეისი 63 წლისაა და 80-90-იან წლებში „სან ანტონიოში", „ატლანტასა" და „კლიპერსში" უმუშავია მთავარ მწვრთნელად. 11 წლის წინ კი „სიეტლში" დაფუძნდა და ჯერ ჯორჯ კარლის, შემდეგ პოლ ვესტფოლის, ბოლოს კი ნეიტ მაკმილანის მარჯვენა ხელი იყო. ახლა ირკვევა, რომ „პორტლენდში" გადაბარგებული მაკმილანი ვეისსაც იქ ეპატიჟებოდა, თუმც ამ უკანასკნელმა უარი შეუთვალა. ჩანს, გრძნობდა, მთავარი მწვრთნელის პოსტს რომ გამოჰკრავდა ხელს.

„ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ დავიწყო ყველაფერი თავიდან — ამბობს ვეისი — აღრეც მიმუშავია მთავარ მწვრთნელად. კი, ბატონო, მართალია, არცთუ კარგი შედეგები მქონია. მაგრამ ყველა ძველ გუნდში ჩემი მუშაობა გარდამავალ პერიოდს დაემთხვა და ეს ძირითადად ამის ბრალი იყო. ახლა საშუალება მეძლევა, ამბიციურ გუნდს ჩავუდგე სათავეში, თავკაცობა და მისი ასისტენტობა კი რადიკალურად განსხვავებული პოზიციებია. ისინი გვერდიგვერდ სხედან, მაგრამ სულ სხვადასხვა თვალით უმზერენ თამაშს — ასისტენტი რიგითი მაყურებელივითაა, ირიბად ეხება გუნდის შიდა პრობლემებს, აი, მთავარი მწვრთნელი კი თამაშის პროცესში უფრო მეტადაა ჩართული, ვიდრე მოთამაშე. ფაქტობრივად, ის ვალდებულია, წარმართოს სათამაშო პროცესი. ვნახოთ, ეს როგორ გამომივა."

**კოტე ყორშია**

# ჩინელებს ოქრო ჩამოხსნეს

## კანადამ კანი გამოიცვალა

**მონრეალის** მერია-მუნიციპალიტეტსა და გენერალურ სპონსორებს ნამდვილად არაფერი აქვთ სანანებელი, ორიოდე თვის წინ რამდენიმე ზედმეტი მილიონის გაღება რომ მოუხდათ და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის წართმეული უფლება ასე დაიბრუნეს. ჩემპიონატი მშვენივრად მიდის, შეჯიბრებებს მაყურებელი არ აკლია და კანადელი წყალჯომარდებიც კანტიკუნტად, თუმც მაინც შოულობენ სხვადასხვა ფერ-სინჯის მედლებს.





კანადელმა ბლიტ ჰარტლიმ ოქროს მედალი თვით ჩინელს წაართვა

ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალიც მშვენიერი გამოუვიდათ კანადელებს და პირველივე დღეს ბრინჯაოს მედალსაც გამოჰკრეს ხელი — 10-მეტრიანი კოშკიდან წყალში მხტომელი გოგონების „დუეტმა" მესამე ადგილი დაიკავა ძლიერი ჩინელებისა და ავსტრალიელების ზურგსუკან. არადა, ამ „დუეტის" ორივე წევრი თინეიჯერი გახლავთ — ლავალელი გოგონა როუზლაინ ფინიონი 18 წლისაა, მისი მეწყვილე, მონრეალის მკვიდრი მეგან ბენფიტო კი მხოლოდ 16-ის.

იმავე დღეს მშვენივრად იბურთავა ქალ წყალბურთელთა ნაკრებმაც. კანადელი დიაცების 34 წლის კაპიტანმა ენ დოუმ ოთხი ბურთი გაუტან ათენის ოლიმპიადის ჩემპიონსა და წინა მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორ იტალიელებს და მასპინძლებს 8:7 მოაგებინა დაძაბული მატჩი.

გუშინწინ მასპინძლებმა პირველი ოქროც გამოადნეს და სიხარულით გაგიჟებულმა გულშემატკივრებმაც კინაღამ ტრიბუნა ჩამოანგრიეს. მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელმა გოგონამ ბლით ჰარტლიმ ყველასთვის მოულოდნელად აჯობა ჩინელ ვუ მინ ხიას და გაყოყოჩებულ ჩინელებს კოვზი წყალში ჩაუგდო — წინა დღით წყალში ხტომით ორი ოქროს მოგების შემდეგ ჩინელები გაიძახოდნენ, წყალში ხტომის ყველა დისციპლინას მოვიგებთო. ვერ მიერთვათ, ვანკუვერელი გოგონასთვის არც მანამდე ყოფილა მსგავსი წარმატება უცხო, ოთხი წლის წინათ ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც იპირველა, თუმც ჩინელი გოგო-ბიჭები ბოლო წლებში ისე უხვად იმკიან ოქროს, კანადელზე ბევრიც არავინ ჩადიოდა ფსონს, რა თქმა უნდა, მის თანამემამულეთა გარდა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მასპინძლები მაინც ვერ გადაურჩნენ ერთ დიდ სირცხვილს. ვაჟ წყალბურთელთა არცთუ ყოჩაღმა ნაკრებმა ოთხი ბურთი გაუტანა მსოფლიოს გრანთაგანს, ხორვატიის ეროვნულ გუნდს, საპასუხოდ კი საკუთარ კარში იმდენი მიიღო... ხორვატებმა მასპინძლებს თავბრუ დაახვიეს აწყობილი თამაშით, ზუსტი პასებით და კარში დარტყმებით, პირველ მეოთხედში 5 უპასუხო ბურთი გაუტანეს, მეორეში — 6 და... ერთი სიტყვით, ყველაფერში დაჩაგრეს, რასაც საბოლოო ანგარიშიც — 19:4 მეტყველებს.

არანაკლებ უინტერესო გამოდგა იმავე, C ჯგუფში ჩატარებული მეორე თამაში. აქ ორი აშკარად ძლიერი და ორიც სუსტი გუნდი მოახვედრა კენჭისყრამ და მეორე ძლიერმა, უნგრეთმაც თითქმის ისევე დაუძაბავად მოუგო მეორე სუსტს, რუმინეთს.

გოლების ფოიერვერკი კი სერბეთ-ჩერნოგორიის მძლავრმა ნაკრებმა მოაწყო. სერბებმა 21 ბურთი გაუტანეს კუბელებს და მაინც გულდაწყვეტილები ამოვიდნენ აუზიდან, რაკი ერთი გოლი საკუთარ კარშიც მიიღეს.

პირველი ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი D ჯგუფში გაიმართა. საბოლოოდ ჩემპიონობაზე პრეტენზიას ალბათ არც ავსტრალია განაცხადებს და არც გერმანია, თუმც გუშინწინ მათმა წყალბურთელებმა გვარიანად დააწყვიტეს ერთმანეთს ნერვები და წყალიც ბლომად აყლაპეს. გერმანელები სამი ბურთითაც იგებდნენ, თუმც ოზებმა ვაჟკაცურად იცურ-იომეს, ბოლო წუთში ორი ბურთი გაიტანეს და 8:8 გაათანაბრეს. მატჩი ალბათ ფრედ მორჩებოდა, მაგრამ გერმანელებმა ბოლომდე იბრძოლეს, ნაღდი გერმანული სულისკვეთება გამოამჟღავნეს და ტომას შერტვიტისმა შეხვედრის დამთავრებამდე სამ წამით ადრე გაიტანა გამარჯვების ბურთი.

რუსებიც ვახსენეთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის კვლავაც საუკეთესოა მსოფლიოს წყალბურთის ჩვენებური ვარსკვლავი რევაზ ჩომახიძე. რუსები ალბათ ტრადიციულად მედლისთვის იბრძოლებენ, პირველ ტურში კი მათ 11:7 აჯობეს A ჯგუფის აუტსაიდერ სამხრეთ აფრიკას. ამ მოგებაში ლიდერის წილი დაიდო „ჩომაგოლმა", ვის ანგარიშზეც 3 ბურთია. მცოდნეებმა A ჯგუფს „სიკვდილისა" უწოდეს, რაკი რუსთა გარდა იქ მძლავრი ბებერი ევროპის კიდევ ორი ვეშაპი — ესპანეთი და იტალია ჩაყურყუმულავებულა. ამათ შორის ჯახი კი გუშინწინ ესპანეთმა მოიგო.

**კოტე ყორშია**

### წყალში ხტომა

ქალები.

1 მ ტრამპლინი

1 ბლიტ ჰარტლი (კანადა)
2 ვუ მინ ქსია (ჩინეთი)
3 ჰეიკე ფიშერი (გერმანია)

### წყალბურთი

კაცები.

ჯგუფური ეტაპი

I ტური

A ჯგუფი

რუსეთი 11:7 სამხრეთ აფრიკა
ესპანეთი 7:5 იტალია

B ჯგუფი

აშშ 7:4 იაპონია
სერბეთი 21:1 კუბა

C ჯგუფი

ხორვატია 19:4 კანადა
უნგრეთი 14:4 რუმინეთი

D ჯგუფი

გერმანია 9:8 ავსტრალია
საბერძნეთი 11:4 ჩინეთი

# რომი და წყალი ისევ ერთად იქნება

**მსოფლიოს** მე-13 ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში 2009 წელს რომში გაიმართება. იტალიის დედაქალაქმა ამ შეჯიბრებისთვის სამასპინძლოდ გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც იაპონიის იოკოჰამა, ათენი და მოსკოვიც მონაწილეობდნენ, ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა.

რომში საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატი ერთხელ უკვე გაიმართა 1994 წელს და ორგანიზაციული თვალსაზრისით საუკეთესოდ აღიარეს. მაშინ ასპარეზობები 5 სახეობაში (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, ვაჟთა და ქალთა წყალბურთი) ქალაქის ცენტრში ერთ კომპლექსში ჩატარდა. მაშინ მხოლოდ მოცურავე მარათონელები გახდნენ იძულებულნი, რათა 25 კილომეტრზე საასპარეზოდ (მაშინ მოცურავეთა სხვა დისტანციებზე მარათონი მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამაში არ იყო) იტალიის სამხრეთით გადაბარგებულიყვნენ საკურორტო დასახლება სან ფელიჩესა და ტერაჩინას შორის.

2009 წლის ჩემპიონატი დაგეგმილია იმავე სცენარით ჩატარდეს, როგორითაც 1994 წელს იყო.



პრემიერ-მინისტრი ქურსად თუზმენი

# ბოლაზიჩის რეისი

**თურქეთში** ტრადიციული „ბოლაზიჩის" რეისი" მოეწყო. 400-მდე პროფესიონალმა თუ მოყვარულმა მოცურავემ ბოსფორის სრუტის გადასაცურად იქნია ხელ-ფეხი.

სპორტსმენთა შორის წყალში თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, ქურსად თუზმენმაც ამოყო თავი და კარგი შედეგიც აჩვენა.



## ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი



ეტაპის გამარჯვებული ოსკარ სიო პერეირო

# არმსტრონგს ალარსად მიეჩქარება

**გუშინ** ერთდღიანი დასვენების შემდეგ სატურდეფრანსოდ შემართული ველომხედრები რკინის რაშებს მურენში შემოახტნენ და თვალწარმტაცი პოსაკენ აიღეს გეზი.

პირინეების სილამაზით გარშემორტყმული პო მთლიანად მწვანეშია ჩაფლული და წარსულის დიდებიდან შემორჩენილი გოთიკური თუ ნეოგოთიკური არქიტექტურის გარდა იმითაც გამოირჩევა, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, „ტურ დე ფრანსის“ ეტაპისთვის უკვე 59-ჯერ უმასპინძლია.

ბოლოს ისიც დავამატოთ, რომ პო განკურნების ცენტრია და ლეგენდარული დარტანიანის მშობლიური ტარბაც მისგან სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული.

მურენიდან პომდე 180,5 კმ-ია და ამ დისტანციის დაფარვა ესპანელმა ოსკარ სიო პერეირომ ყველაზე სწრაფად, 4 საათში, 38 წუთსა და 40 წამში შეძლო. მისი დრო დააფიქსირეს ხავიერ ზანდიომ, ედი მაცოლენიმ და კადელ ევანსმა. პირველი მათგანი პერეიროს თანამემამულეა, მეორე იტალიელი, მესამე კი ავსტრიელი და ამ სამეულს პირველადგილოსანმა ბოლო მონაკვეთში აჯობა.

გაპირველების გარდა პერეირომ შურისძიების წყურვილის მოკვლაც შეძლო. გასულ ეტაპზე დიდი მცდელობის მიუხედავად, არმსტრონგისთანა გუნდელი ჯორჯ ჰინკაპი ვერ ჩამოიტოვა და ერთი პოზიციით ჩამორჩა.

მეორე ჯგუფმა 2 წუთისა და 25 წამის დაგვიანებით უწია ფინიშს. არმსტრონგი არც მათ შორის გარეულა და ზედმეტად არც შეუწუხებია თავი პედლების ტრიალით, რადგანაც წყნარად სიარული და მთავარ კონკურენტებთან ერთად ფინიშის გადაკვეთა არჩია.

ამერიკელის ჯგუფში აღმოჩნდნენ უპირველესი ფავორიტები: ივან ბასო, იან ულრიხი და მიკაელ რასმუსენი. ასე რომ, საერთო ჩათვლაში ბევრი არაფერი შეცვლილა.

არმსტრონგს „ტურ დე ფრანსის“ მეშვიდედ მოსაგებად 5 ეტაპის წყნარად და ნარნარად ჩატარებაღა დარჩენია და ძნელი სავარაუდოა, ვინმემ კონკურენცია გაუბედოს. მთავარი მოპაექრე, იტალიელი ივან ბასო 2 წუთითა და 46 წამით ჩამორჩება. „გათავხედებული“ მიკაელ რასმუსენი სამ წუთზე ოდნავ მეტი დაგვიანებით მესამე პოზიციაზეა, შორეულ 1997 წელს „ტურ დე ფრანსზე“ გაპირველებული გერმანელი იან ულრიხი, რომელიც მუდამ ლენსის მთავარ კონკურენტად ითვლება ხოლმე, უკვე 5 წუთსა და 58 წამს აგებს ველორბოლის მეფესთან.

**ლადო ფულუძიძე**

### მეთექვსმეტე ეტაპი 19 ივლისი. მურენი-პო. 180,5 კმ

| | |
|---|---|
| 1 ოსკარ სიო პერეირო (ესპანეთი, ფონაკი) | 4 სთ. 38 წთ. 40 წმ |
| 2 ხავიერ ზანდიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | |
| 3 ედი მაცოლენი (იტალია, ლამპრე) | |
| 4 კადელ ევანსი (ავსტრია, დავიტამონ ლოტო) | ყველა იგივე დრო |
| 5 ფილიპ ჟილბერტი (ბელგია, ფრანსეს დე ჟუ) | +2 წთ. 25 წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 66 სთ. 52 წთ. 03 წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, სი-ეს-სი) | +2 წთ. 46 წმ |
| 3 მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) | +3 წთ. 09 წმ |
| 4 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობილი) | +5 წთ. 58 წმ |
| 5 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | +6 წთ. 31 წმ |



ლენს არმსტრონგის პირველობა ვერავინ შეარყია

სუმო

# ცენტრალური აშკარაში იოკოძუნა და კატიკოსი

**დღეს** აიტის პრეფექტურის ცენტრალურ დარბაზში სეზონის მეოთხე დიდი ბაშოს მეთერთმეტე ტურის მთავარ ბრძოლაში მსოფლიოს უძლიერესი სუმოისტი, იოკოძუნა ასასიორუ ლევან ცაგურიას დაუპირისპირდება. ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, მონღოლი „ცისფერი დრაკონია“, მაგრამ სპეციალისტები პროგნოზებისგან მაინც თავს იკავებენ. „შავი ზღვა“ ხომ იოკოძუნას მხოლოდ ორი ნაბიჯით ჩამორჩება.

გუშინ კოკაიმ მეშვიდე გამარჯვება მიითვალა და კატიკოსამდე (წოდების ამაღლებამდე) დარჩენილ ხუთ ტურში ერთი ქულაღა სჭირდება. სეკივაკე კოტომიცუკი ერთ-ერთი იმ სეკიტორთაგანია, რომლებიც ჩვენებურის უხერხულ მეტოქეებად ითვლებიან. აქამდე პირად შეხვედრებში მას რვიდან შვიდჯერ „წაუქცია“ კოკაი, თუმც გუშინ ქართველის დღე იყო.

ასასიორუმ კი მეცხრე გამარჯვების მისათვლელად წამნახევარი იკმარა. ექსსეკივაკე ხოკუტორიკის გაბითურებით იოკოძუნამ უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. რვა-რვა მოგებით მის უკან არიან კოძუსუბი კოტოოსიუ, დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოსატო და დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ტაკამისაკარი. ცაგურიას მხარდამხარ კი ორი ოძეკია — ტოჩიაძუმა და კაიო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ოლიმპიზმი

# პარიზი განაწყენდა

მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის შესარჩევად კენჭისყრა დასრულდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა დამარცხებულ ქალაქებს მოუწოდა, რომ მათ კვლავ იბრძოლონ მომდევნო ოლიმპიადის ხელში ჩასაგდებად. მან იქვე დასძინა, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია გამარჯვების იმედი ჰქონდესო.

**ეტყობა,** ჟაკ როგს ეს შემთხვევით არ უთქვამს. როგორც ჩანს, მის ყურამდე მივიდა ხმები, რომ დამარცხების შემდეგ განაწყენებულ პარიზს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზია აღარ ექნებოდა.

და მართლაც, ამის თაობაზე განაცხადა პარიზის მერმა ბერტრან დელანოემ.

„პარიზი აღარ იქნება 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატი ქალაქი. თუკი, როგორმე შემეძლება ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ დავეხმარო სამხრეთ ამერიკის ან აფრიკის კანდიდატურას მე ამას გავაკეთებ“ — თქვა დელანოემ რადიოსადგურ „ევროპა 1“-ის ეთერში გამოსვლისას.

ბოლო წლებში პარიზი ორჯერ ცდილობდა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებას. იგი ორივეჯერ აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ ჯერ პეკინთან დამარცხდა გეოპოლიტიკური მოსაზრებების გამო, მერე კი ლონდონთან. ამან, ეტყობა, პარიზელები მეტად გაანაწყენა, მაგრამ მისმა დამარცხებამ საფრანგეთის სამი ქალაქის, ანსის, გრენობლისა და ნიცის ხელისუფალთ ზამთრის ოლიმპიური თამაშების მიღების სურვილი აღუძრა. მათ გადაუწყვეტიათ, იბრძოლონ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მისაღებად.

ამ სამი ქალაქიდან სამივე ალპებშია და მათგან ანსელებმა უკვე ოფიციალურად წარმოადგინეს თავიანთი კანდიდატურა, მაგრამ საფრანგეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უარყო მათი წინადადება და მას ნაადრევი უწოდა.

***

**დამტკიცდა** ტურინის 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი, რომელმაც 1, 38 მილიარდი დოლარი შეადგინა.

***

**ჩინეთის** დედაქალაქში დაიწყო პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიური სოფლის მშენებლობა.



# უმცროსი კლიჩკო უსახელო ნიგერიელს ვერ ასცდება

**კრივის** საერთაშორისო ფედერაციამ (**IBF**) უკრაინელ მძიმეწონოსან ვლადიმერ კლიჩკოს ნიგერიელ სემუელ პიტერთან ბრძოლა გამოუწერა, რათა განისაზღვროს პრეტენდენტი იმ ტიტულისა, რომელსაც ახლა კრის ბერდი ფლობს.

**IBF**-ის ბოლო რეიტინგში უმცროსი კლიჩკო მეოთხე ადგილზეა, ხოლო პიტერი მასზე ერთი პოზიციით ქვემოთ დამკვიდრებულა. რეიტინგში ორი ადგილი ვაკანტურია, ხოლო მესამეზე დევარილ უილიამსს ვხედავთ, რომლის წინააღმდეგაც ბერდი თავის ტიტულს დაიცავს.

პიტერი ამჟამად ასევე პრეტენდენტია **WBC**-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ, უფროს ვიტალი კლიჩკოსთან შესახვედრად.

თუმცა, ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსის მისაღებად მან უნდა დაამარცხოს თურქი სინან სამილ სამა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ნიგერიელს სულაც არ ეპიტნავება უკრაინელთან ბრძოლა და მისი მენეჯერი ტვინს იჭყლეტს იმის თაობაზე, თუ როგორ აიცილოს თავიდან ნიგერიელის ასეთი ვალდებულება.

კაცმა რომ თქვას, არც ვლადიმერს ეპიტნავება უცნობი მოკრივის წინააღმდეგ გამოსვლა. მას მხოლოდ კრის ბერდთან ბრძოლა იზიდავს.

მაგრამ ამას წინათ ნიუ ჯერსის შტატის სასამართლომ ვლადიმერ კლიჩკოს სარჩელზე გადაწყვეტილება გამოიტანა. ვლადიმერი აპროტესტებდა **IBF**-ის გადაწყვეტილებას რეიტინგში მესამე პოზიციიდან მეოთხეზე ჩამოქვეითების შესახებ.

მოსამართლემ გადაწყვიტა, კლიჩკომ უნდა მოიცადოსო და მხარი დაუჭირა **IBF**-ის პოზიციას კრის ბერდის წინააღმდეგ სატიტულო ბრძოლაში დევარილ უილიამსონის სავალდებულო პრეტენდენტად მიჩნევის თაობაზე.

ვლადიმერ კლიჩკო დარწმუნებული იყო, **IBF**-ის ვერსიით კრის ბერდის წინააღმდეგ ჩემპიონის ტიტულისთვის საბრძოლველად სრული უფლება მაქვსო.

„დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა წაეკითხა სხვადასხვა ვერსია ამ პრობლემის ირგვლივ, — ამბობს მოკრივე. — მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ მე მაქვს სრული უფლება, რათა **BFI**-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძოლო მისი მფლობელის კრის ბერდის წინააღმდეგ.“

მაგრამ სასამართლომ კლიჩკოს სასარგებლოდ გადაწყვეტილება არ მიიღო.

„მართალი რომ გითხრათ, არ ვიცი, რა კრიტერიუმებით სარგებლობდა სასამართლო, როცა ასე განსაჯა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსი არ მესმის, მის გადაწყვეტილებას ვლებულობ“ — თქვა კლიჩკომ.

საინტერესოა, რომ დევარილ უილიამსონი, რომელიც შარშან ვლადიმერ კლიჩკოსთან ტექნიკური გადაწყვეტილებით დამარცხდა (ბრძოლა მეხუთე რაუნდში შეწყდა წარბის გახეთქვის გამო), მზადაა კიდევ ერთხელ დაუპირისპირდეს კლიჩკოს, რათა განისაზღვროს, თუ ვინაა მათ შორის უფრო ღირსეული **IBF**-ის ვერსიით ჩემპიონ კრის ბერდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს წინადადება უილიამსონმა სწორედ მაშინ წამოაყენა, როცა კლიჩკოს სარჩელს სასამართლოში განიხილავდნენ, სადაც უკრაინელი სპორტსმენი ითხოვდა ამ ორგანიზაციის ჩემპიონის ტიტულის აუცილებელ პრეტენდენტად მის აღიარებას.

კლიჩკოს წარმომადგენლებმა ამერიკელის წინადადება უარყვეს და განმარტეს, რომ სურთ ბერდთან დაუყოვნებლივ შეხვედრა, ხოლო კიდევ ერთი შესარჩევი ბრძოლის გამართვა მას საშუალებას მისცემს ჩაატაროს კიდევ ერთი ტიტულის დასაცავი ბრძოლა, სადაც მან შესაძლოა ჩემპიონობა დაკარგოს.

ახლა იურისტთა არასწორი გადაწყვეტილების გამო კლიჩკომ მეტოქედ მიიღო ნიგერიელი, რომელთან ბრძოლაში ფულს ვერ გამოიმუშავებ.



# ავსტრალიელის აღსასრული გერმანიაში

**ავსტრალიელი** ველომრბოლი ქალი, ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ლიდერი, 29 წლის ემი ჟილეტი, რომელიც მსოფლიოს ველომრბოლთა ასეულში შედიოდა, გერმანიაში თავის ქვეყნის ნაკრების ხუთ წევრთან ერთად შესარჩევი შეჯიბრებისთვის რომ ემზადებოდა, ავარიაში მოხვდა და დაიღუპა, მისი სხვა თანაგუნდელები კი, რომლებიც 20-28 წლისანი არიან, სერიოზულად დაშავდნენ. ისინი შვეულმფრენით უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ექვსივე სპორტსმენი ლაიპციგის სამხრეთით ოთხმოცი კილომეტრის დაშორებით იყო, როცა მათ დღისით-მზისით ავტომობილი დაეჯახა.

დაღუპულის ოჯახს ღრმა მწუხარება გამოუცხადა ავსტრალიის სპორტკომიტეტმა და იმავე ქვეყნის ველოსპორტის ფედერაციამ.

თავად ამ ავარიაში დამნაშავე 18 წლის გოგონა, რომელიც მსუბუქ ავტომობილს მართავდა, ასევე მძიმედ დაშავდა.

ამ შემთხვევამ გაგვახსენა სხვაც, რომელიც ველომრბოლებს შეემთხვათ.

შარშან, იტალიის ჩრდილოეთით გამართული შეჯიბრება, რომელშიც 1800 ველომრბოლი მონაწილეობდა, ტრაგედიით დასრულდა. მაშინ თავსხმა წვიმის გამო მთებში გამავალი ვიწრო გზები მეტად სლიპინა გახდა, რამაც ველომრბოლთა მასობრივი დავარდნა გამოიწვია. ამის შედეგად 12 კაცი საავადმყოფოში აღმოჩნდა, ერთი პოლონელი კი დაიღუპა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ველომრბოლელთა შორის მსგავსი ტრაგედიები ძალზე იშვიათია.



ემი ჟილეტი

# სექსი ლაჟვარდოვან სანაპიროზე

**მაქს ბიაჯის** სპორტული კარიერა საკმაოდ კარგად ეწყობა და ახლა მას პირადი ცხოვრებისთვის მიხედვა გადაუწყვეტია. ბიაჯის, რომელიც 250 კუბური სანტიმეტრიანი ძრავის მოტოციკლეტით მსოფლიოს 4 გზის ჩემპიონია, განუზრახავს ჩემპიონატში შექმნილი მცირეოდენი ტაიმ-აუტით ისარგებლოს, რათა „მის იტალია 2002“ ელეონორა პედრონთან ერთად ლაჟვარდოვან სანაპიროს კურორტებზე გაატაროს დრო.

დასვენებისას მაქსმა და ელეონორამ ერთობლივი ინტერვიუ მისცეს იტალიურ ყოველკვირეულ CHI-ს. ამ ინტერვიუდან ნათელი გახდა, რომ მიჯნურებს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ერთმანეთთან, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება. მაგალითად, პედრონმა გულახდილად აღიარა:

„სექსი ჩვენი ურთიერთობის ძალზე ფუნდამენტალურ შემადგენელ ნაწილად ითვლება“.

ბიაჯი ნაკლებად კატეგორიული იყო და ფილოსოფიური აზრიც გამოთქვა:

„სიყვარული და მეგობრობა — ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, მაგრამ მისი პოვნა არც ისე ადვილია.“

ახლა ელეონორა პედრონი ცხოვრობს მილანში, სადაც თავის პირველ ფილმში იღებენ. ელეონორას მთავარი ოცნება მსახიობობაა. მისივე თქმით, იგი ამ მხრივ ძალიან ბევრს მუშაობს და სახელგანთქმული მსახიობების მიმეს პუაიფერისა და რობინ რადიესგან სწავლობს.








AFP პოდან

# არმსტრონგთან შეიარა

18 ივლისი დასვენების დღე გახლდათ ტურ დე ფრანსზე, მაგრამ ლენს არმსტრონგმა იქნებ ვერ მოახერხა სრულად მოდუნება. ამ გრძელფეხა გოგოს რომ უყურებთ, შერილ ქროუ გახლავთ, ლენსის გელფრენდი და პაპარაცებმა სწორედ მის შორიახლოს დააფიქსირეს.



AFP მონრეალიდან

# ფიგურები წყალზე

მსოფლიოს საწყლოსნო სახეობათა ჩემპიონატი, მონრეალის აუზებში დგაფუნობენ სინქრონულად მოცურავე გოგონები. ზედა ფოტოზე წყლის ზედაპირზე ლაპლაპებს ჩინელ გოგონათა ფეხები, ქვევით კი ესპანელებსა და გერმანელებს აუტაციათ ერთ-ერთი თავისიანი. ჯერ შესარჩევი ეტაპი მიმდინარეობს, ასე რომ, გამარჯვებულის ვინაობას ვერაფრით მოგახსენებთ.



AFP მონრეალიდან






AFP ბანგკოკიდან

# ევერტონი და კარგი ტონი

გასული სეზონის ინგლისის რჩეულ მწვრთნელად დასახელებული დევიდ მოიესი ბრიტანეთის ნაპირებს იქითაც პოპულარულია. ტაილანდელ გოგოცუნებს ავტოგრაფებს ურიგებს. ტაილანდში კი მისი „ევერტონი“ „მანჩესტერ სიტი“ და „ბოლტონი“ ჩასულან ამხანაგურად საბურთაოდ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, გიორგი ღარუჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge